პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

№ 203 (5304) | კვირა, 4 სექტემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

## დღეს გაზეთში:

სახელოვანი იუბილეს შესახვედრად (მოწინავე)
ახალწვეულნი ისწრაფვიან დადგნენ წითელი არმიის საბრძოლო დროშების ქვეშ (მე-2 გვ.)
ალ. მირცხულავა — კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა ანგარიშგება და არჩევნები (ფელეტონი. მე-2 გვ.)
ა. ლარინი — ორი სამყაროს ახალგაზრდობა (ფელეტონი. მე-3 გვ.)
გ. კირიაკოვი — უზრუნველვყოთ თამბაქოს მაღალი მოსავალი და კარგი ხარისხი (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება. ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას (მე-3 გვ.)
ოთ. ეგაძე — ლაშქრობა მწვერვალ ჯიმარაზე (მე-4 გვ.)
უცხოეთში:
საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის ოლიგარქია ხელყოფს სახალხო ფრონტის სოციალურ მონაპოვრებს (1-ლი გვერდი)
მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.)

## სახელოვანი იუბილეს შესახვედრად!

[illegible]

...ქოლდავა, რომელმაც შესძლო დღეში 275 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კომკავშირელი ქალი თ. ბაბუა წარმატებით ასრულებს კომკავშირის წლისთავთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს, — დღეში ჰკრეფს 160 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, ე. ი. 16-ჯერ აჭარბებს ნორმას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახალგაზრდობა შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებით ეგებება შესანიშნავ წლისთავს. ლითონის სადნობ საამქროს (მეხუთე ღუმელი) კომკავშირელმა ბრიგადირმა მ. ვაშაკიძემ ლითონის გამოდნობის გეგმა 145 პროცენტით შეასრულა.

თავისი სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობას, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულებას წითელარმიელი კომკავშირელები გამოხატავენ გმირობით, სიმამაცით, ბრწყინვალე შემოქმედებით. წითელარმიელი კომკავშირელები გვიჩვენებენ სოციალიზმის საქმის დაცვისათვის მზადების საუცხოო მაგალითებს. ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის კომკავშირელები, ისე როგორც მთელი წითელი არმიის კომკავშირელები და ახალგაზრდობა, კომკავშირის XX წლისთავთან დაკავშირებით აქტიურად ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში და გააჩაღეს დიდი მუშაობა. ამაღლდა პოლიტიკური აქტივობა. ფრიადოსან მებრძოლთა ხარჯზე სწრაფი ტემპით იზრდებიან დანაყოფების კომკავშირული ორგანიზაციები. ამ ცოტა ხანში კომკავშირში მიიღეს 312 მოწინავე მებრძოლი. საუკეთესო კომკავშირელები შედიან პარტიაში. 45 კომკავშირელმა უკვე მიიღო რეკომენდაცია საქ. კ. პ. (ბ) რიგებში შესასვლელად.

მაგრამ კომკავშირულ ორგანიზაციებს ამ ბრწყინვალე მიღწევებთან ერთად აქვთ ზოგიერთი ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ ყველგან არ გაუშლიათ მუშაობა ისე, როგორც საჭიროა, ბევრგან ჯერ კიდევ სიზანტე და თვითკმაყოფილება ჩრდილავს ნამდვილ საქმეს. კომკავშირის ოცი წლისთავისათვის მზადების ჩატარება სერიოზული პოლიტიკური გამოცდაა და ამ გამოცდის წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა კომკავშირი კიდევ უფრო დაუახლოვდეს კავშირგარეშე ახალგაზრდობას, განამტკიცოს მასთან მჭიდრო კავშირი, სიტყვა საქმედ აქციოს, მტკიცედ მოჰკიდოს ხელი თავის უპირველეს ამოცანას— ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს.

ამ დღეებში —სახელოვანი წლისთავისათვის მზადების დღეებში, — კომკავშირი თავისი რიგების განსამტკიცებლად ატარებს უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას — კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებს. 15 სექტემბრიდან კომკავშირულ პირველადს ორგანიზაციებში დაიწყება ეს საპასუხისმგებლო, დიდი მნიშვნელობის საქმე— ანგარიშგება და არჩევნები.

[illegible]

...ლვაო ფლოტში საყვარელი დედასამშობლოს წინაშე საპატიო მოვალეობის შესასრულებლად. დიდია კომკავშირის ამოცანა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარებაში. კომკავშირმა უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ წითელმა არმიამ, წითელმა ფლოტმა, წითელმა ავიაციამ ყოველმხრივ შემოწმებული, ჯანსაღი, პოლიტიკურად მომზადებული ცვლა მიიღონ.

კომკავშირის ოცი წლისთავისათვის მზადების დღეებში საქართველოს კომკავშირი უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ატარებს. კომკავშირის ცხოვრებაში დიდი გარდატეხა ხდება. ახალი ამოცანები, ახალი ვითარება მოითხოვს კომკავშირული ორგანიზაციების ახლებურად მუშაობას, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესებას. მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ ახალგაზრდობისა და კომკავშირელების აღზრდა არ არის მარტო კომკავშირული კომიტეტის საქმე. ამ საქმეს პარტიული ორგანიზაცია უნდა ხელმძღვანელობდეს. ავიღოთ სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული კომკავშირული ორგანიზაცია. ის პარტიული ხელმძღვანელობის გარეშეა დარჩენილი. პარტორგი ამხ. ი. გელაშვილი თავის საქმედ არ სთვლის კომკავშირის ხელმძღვანელობას. ის ერთხელაც არ დასწრებია კომკავშირულ კრებას. მან არ იცის, რას აკეთებენ, როგორ ცხოვრობენ და როგორ იზრდებიან კომკავშირელები. ერთი სიტყვით, ისე იქცევა, როგორც გარეშე კაცი.

კომკავშირული ორგანიზაციების მივიწყება, მათი პარტიული ხელმძღვანელობის უგულებელყოფა დიდი შეცდომაა. ეს ყოვლად დაუშვებელი დანაშაული არავითარ შემთხვევაში არ ეპატიება პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისათვის.

„სწორი არ იქნებოდა გვეფიქრნა, —სთქვა ამხანაგმა ლ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე, — რომ ამ დიდსა და რთულ ამოცანებს დასძლევდა მარტო ერთი კომკავშირი. ამიტომ პარტორგანიზაციებმა, პარტიის რაიკომებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციებისადმი".

ორდენოსანი საქართველოს კომკავშირი სახელოვან წლისთავს სასახელო მიღწევებით შეხვდება. საქართველოს ბედნიერი ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — კომკავშირი როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, სახელოვანი წლისთავისათვის მზადებაშიაც, იქნება მოწინავე, სახელოვანი, ლენინ-სტალინის პარტიის დიდი ნდობისა და იმედების გამმართლებელი.



## საფრანგეთის ფინანსიური კაპიტალის ოლიგარქია ხელყოფს სახალხო ფრონტის სოციალურ მონაპოვრებს

### საფრანგეთის კომპარტიის მიმართვა

**პარიზი,** 2 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მიმართვას. მიმართვაში ნათქვამია:

„საფრანგეთის კომუნისტური პარტია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ სახალხო ანტიფაშისტური ფრონტი ერთხელ კიდევ ადასტურებს ერთიანობას სოციალური კანონმდებლობისათვის ბრძოლაში ტრესტებისა და ფინანსიური ოლიგარქიის იერიშების წინააღმდეგ.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მოუწოდებს თავის წევრებსა და ყველა მშრომელს მისდიონ საყოველთაო შრომის კონფედერაციის დირექტივებს, რათა ჩაჰფუშონ კანონის საწინააღმდეგო ყველა გეგმა და უზრუნველჰყონ რესპუბლიკური კანონების პატივისცემა.

პარტია აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობის მეთაური ანგარიშს არ უწევს იმ ზუსტ მონაცემებს, რომლებსაც მშრომელები აღგენენ ეროვნული თავდაცვის საქმის მესაბოტაჟეთა გამოსამჟღავნებლად. აქამდ არ შეიძლება არ გაამხნეოს ისინი, ვინც ეროვნულ თავდაცვის საქმეს საბოტაჟს უწევს.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს სოციალისტებს, რადიკალებს, კომუნისტებს, პროფკავშირთა წევრებსა და ყველა დემოკრატს, რომლებიც გაერთიანებული არიან სახალხო ანტიფაშისტურ ფრონტში, წინააღუდგნენ პირადი ძალაუფლების დამყარების ყოველივე ცდას. კომპარტია მოუწოდებს განამტკიცონ ერთიანობა რესპუბლიკური კანონიერების დასაცავად და დემოკრატიულ დაწესებულებათა ნორმალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

კომუნისტური პარტია, დარწმუნებულია რა იმაში, რომ იგი გამოხატავს შეხედულებას თავის ქვეყნისას, რომელსაც არ სურს ლავალის პოლიტიკის აღორძინება, მოითხოვს პარლამენტის მოწვევას, სახალხო ფრონტის პროგრამისადმი დაბრუნებას და მთავრობის შედგენას ხალხის ნებისყოფის შესაბამისად, მთავრობისა, რომელიც შესძლებს სახალხო ფრონტის პროგრამის განხორციელებას.

გაუმარჯოს საფრანგეთის ხალხის ერთიანობას!"

### პროფკავშირის სამდივნოს გადაწყვეტილება

**პარიზი,** 2 სექტემბერი (საკდესი). გუშინ პარიზის რაიონის მშენებელ მუშათა პროფკავშირის სამდივნოს სხდომაზე, პროფკავშირისა, რომელიც 160 ათას მუშას წარმოადგენს, მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლუცია მთავრობის არბიტრაჟის ამასწინანდელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც უარჰყო პროფკავშირის მოთხოვნები ხელფასის საკითხებში. სამდივნომ გადასწყვიტა, შიჰმართოს მოთხოვნით მეწარმეებს, რათა მათ დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისა და ხელფასის ახალ განაკვეთთა დაწესების შესახებ.

„თუ 15 დღის განმავლობაში არ იქნა მიღწეული არავითარი შედეგი, — ნათქვამია რეზოლუციაში, — პროფკავშირი მიჰმართავს საჭირო ღონისძიებებს, თვით გაფიცვამდე".

სამდივნო პროტესტს აცხადებს აგრეთვე მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომელნიც არღვევენ 40 საათიანი სამუშაო კვირის კანონს.

### საფრანგეთის მშრომელების პროტესტი

**პარიზი,** 1 სექტემბერი (საკდესი), გუშინ პარიზში შესდგა პარიზის რაიონის კომუნისტთა ფართო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა მონმუსო. იხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეღოს ბოლო საბოტაჟს ნაციონალური თავდაცვის საქმეში. კრებაზე გამოვიდნენ მეტალურგიული ქარხნებისა და ქიმიური საწარმოების მრავალი წარმომადგენელი და აგრეთვე პარიზის რაიონის მშენებელი მუშების წარმომადგენლები, მათ მოჰყავდათ კონკრეტული ფაქტები იმისა, რომ მსხვილი მეწარმენი საბოტაჟს უწევენ წარმოებას ნაციონალური თავდაცვის დარგში.

ჟაკ დიუკლომ მკვეთრად გააკრიტიკა საფრანგეთის პრემიერის დალადიეს ამასწინანდელი გამოსვლა და პროტესტი გამოსთქვა მთავრობის მიერ 40 საათიანი სამუშაო კვირის დეკრეტის დარღვევის წინააღმდეგ. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომპარტია მოითხოვს დეპუტატთა პალატის მოწვევას.

40 საათიანი სამუშაო კვირის კანონის დარღვევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები გაიმართა პარიზის რაიონსა და პროვინციაში; დემონსტრაციებში ათიათასობით მშრომელი მონაწილეობს.

დღეს შესდგა კომპარტიასა და სოციალისტურ პარტიას შორის კავშირის პარიზის რაიონის კომიტეტის სხდომა საერთო მოქმედების შესწავლის მიზნით 40-საათიანი სამუშაო კვირის დასაცავად.

სახალხო ფრონტის პარიზის რაიონის კომიტეტმა მიმართა პარიზის ყველა მშრომელს მოწოდებით — მონაწილეობა მიიღონ იმ დიდ დემონსტრაციაში, რომელსაც აწყობენ პარიზის პროფკავშირები ნიშნად პროტესტისა საფრანგეთის მთავრობის უკანასკნელი დეკრეტის წინააღმდეგ.

### მიტინგი პარიზში

**პარიზი,** 2 სექტემბერი (საკდესი). დღეს საღამოს 6 საათზე პარიზის საზამთრო ველოდრომზე მოწვეულ იქნა საპროტესტო მიტინგი 40 საათიანი სამუშაო კვირის კანონის დარღვევის წინააღმდეგ.

მიტინგის გახსნას მეოთხედი საათი აკლდა, როდესაც საზამთრო ველოდრომზე პარიზის საწარმოთა 25 ათასამდე მუშა-მოსამსახურემ მოიყარა თავი. ცალკეულ საწარმოთა მუშები, დარაზმულნი ჯგუფებად, გამოცხადდნენ მიტინგზე ლოზუნგებით: „ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ 40 საათიანი სამუშაო კვირა", „გადადგეს დალადიე!"

## მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

### ჰენლაინელები შეიარაღებულ გამოსვლას ამზადებენ

**პრაღა,** 2 სექტემბერი (საკდესი). სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობით, ჰენლაინელთა პარტიის ხელმძღვანელთა შორის იხილავენ საკითხს პუტჩის მომზადების შესახებ გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირების მიზნით. ჰენლაინელების ლიდერთა ერთი ჯგუფი — კუნდტი, სებეკოვსკი და სხვები, როგორც გამოირკვა რესპუბლიკის პრეზიდენტ ბენეშთან და ლორდ რენსიმენთან მათი საუბრის დროს, თანახმაა განაახლონ მოლაპარაკება მთავრობასთნ. მეორე ჯგუფი — ფრანკი (ჰენლაინის მოადგილე) და კელნერი (ორივე ავტორებია ამასწინათ გამოქვეყნებულ მოწოდებისა შეიარაღებული „თავდაცვის" შესახებ „მარქსისტული ტერორის" წინააღმდეგ) შეიარაღებული გამოსვლის მომხრეა. ისინი მხარს უჭერენ „სუდეტელ გერმანელთა პრობლემის" გადაჭრის ეგრეთწოდებულ „ესპანურ ვარიანტს". ეს ვარიანტი შემდეგში მდგომარეობს: ჰენლაინელები იწყებენ პუტჩს ჩრდილო-დასავლეთ ჩეხეთში, საქსონიის საზღვრის ახლოს, ჩეხოსლოვაკიის თავდაცვითი სიმაგრეების ორ ხაზს შუა მდებარე მთიან ადგილში. მთავრობა და არმია იძულებული იქნებიან გაგზავნონ ჯარი პუტჩის ჩასაქრობად. ჰენლაინელ მეამბოხე ჯარის ერთეულები, რომელთა დასახმარებლადაც მოვლენ სუდეტელ გერმანელთა ლეგიონები, თავმოყრილი გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, უკან დაიხევენ გერმანიის საზღვრისაკენ და გადავლენ კიდეც მასზე ჩეხოსლოვაკიის ჯარის მიერ გერმანიის საზღვრის დარღვევის პროვოცირების მიზნით. მაშინ მოქმედებას დაიწყებენ გერმანიის ჯარები (პირველ რიგში მოტორიზებული ერთეულები, რომლებიც თავმოყრილია საქსონიაში — იქ ამ უკანასკნელ დღეებში განუწყვეტლივ მოჰყავთ ყველა სახის ჯარის ახალი და ახალი ჯგუფები).

გერმანიის არმია შეეცდება განახორციელოს „ელვისებრი დარტყმა" პრაღაზე ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით — ლაბის უსტსა და ხომუტოვს შუა.

„ესპანური ვარიანტის" განხორციელებისას ფაშისტურ გერმანიას იმედი აქვს, რომ იგი შესძლებს, თუნდაც პირველ ეტაპზე, როცა კონფლიქტს ისეთი სახე ექნება, როგორც შინაურ ბრძოლას ჰენლაინელებსა და ჩეხოსლოვაკებს შორის, გამოიწვიოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაცია, მოახდინოს ინგლისის „ნეიტრალიზაცია", რომელიც, „ჩაურევლობის" პრინციპიდან გამომდინარე, შეაკავებს საფრანგეთს და არ მისცემს მას საშუალებას დაეხმაროს ჩეხოსლოვაკიას. „ელვისებრი დარტყმის" განხორციელების შემდეგ ჰიტლერი მოითხოვს პლებისციტს სუდეტის ოლქში და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას შუა ევროპის რუკის ხელახლა გამოჭრისათვის.

სუდეტის გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობაში „ესპანური ვარიანტის" გამო უთანხმოების წარმოშობასთან დაკავშირებით, ჰენლაინი გაემგზავრა ჰიტლერთან.

## თბილისის ოპერის გასტროლები ლენინგრადში

**ლენინგრადი,** 3 სექტემბერი, („კომუნისტის" სპეც. კორესპ.). 2 სექტემბერს თბილისის ოპერის თეატრმა ლენინგრადელ მაყურებლებს უჩვენა ქართული საოპერო ხელოვნების ერთერთი ფუძემდებლის — მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი". საუცხოო ხალხური მელოდიებმა, რომლებითაც მდიდარია ეს ოპერა, განსაკუთრებით „იავნანამ" მეორე აქტში მოხიბლა მსმენელები, რომლებითაც გაჭედილი იყო გორკის სახელობის კულტურის სახლის დარბაზი. სპექტაკლმა დიდი აღმავლობით ჩაიარა. მთავარ პარტიებს ასრულებდნენ შარაშიძე, ნაკაშიძე, იანცკი, გამრეკელი, ყვარელაშვილი, სვანიძე, გრიგორაშვილი.

ლენინგრადელები აღტაცებული არიან ქართველი არტისტების საუცხოო ხმებით. ოვაციები თეატრიდან ქუჩაში გადადის. თვითეული სპექტაკლის შემდეგ მაყურებლები ჯგუფჯგუფად ელიან არტისტების გამოსვლას, უძღვნიან ყვავილებს, გულთბილად აცილებენ.

2 სექტემბერს წარმოდგენისაგან თავისუფალ არტისტთა ჯგუფი გამოვიდა წითელი არმიის საშეფო ნაწილში. კონცერტმა, რომელშიც მონაწილეობდნენ დამსახურებული არტისტები ანდღულაძე, ქუმსიაშვილი, სოხაძე, სოლისტები ხარაძე, გოსტენინა, ვენაძე, სერგეევა, მოცეკვავეები მანტკავა და ჩახავა, დიდი წარმატებით ჩაიარა. წითელარმიელები გულთბილად შეხვდნენ მზიური საქართველოს ხელოვნების ოსტატებს. კონცერტის შემდეგ გაუმართეს ვახშამი.

ფ. გუაჩიძე.

## გაიხსნა პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მე-7 პლენუმი

[illegible]

## სიჩქარის საკავშირო რეკორდი

[illegible]

...შესანიშნავი საჰაერო რეისის ფინიში შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი—ვლადივოსტოკი—მოსკოვი. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მფრინავმა ამხ. მ. ი. ტიუტიაევმა ბორტმექანიკოს-რადისტ ამხ. ვ. კალაშნიკოვთან ერთად სიჩქარის საფოსტო „პს-40" თვითმფრინავით ორივე გზობაზე 53 საათისა და 40 წუთის განმავლობაში დაჰფარა 16.380 კილომეტრი მანძილი.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარსამმართველო უახლოეს ხანში აამუშავებს სიჩქარის საფოსტო „პს-40" თვითმფრინავს საჰაერო ტრასებზე, რომლებიც მოსკოვს აერთიანებენ ვლადივოსტოკთან, ტაშკენტთან, ალმა-ატასთან, ასტრახანთან, თბილისთან, ბაქოსთან, მინსკთან, სიმფეროპოლთან, და ლენინგრადისა და ოდესის მაგისტრალზე. ყველა ამ ხაზზე ჩატარდება სპეციალური საცდელი ფრენა ტრასის შესასწავლად და ჩქარი ფრენის გრაფიკის შესადგენად.

მფრინავ ტიუტიაევის ბრწყინვალე რეისი ერთერთი ასეთი საცდელი პირველი ფრენაა ტრანსციმბირის მაგისტრალზე.

ამხ. ტიუტიაევის გადაფრენა მეტად მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. თვითმფრინავი ვლადივოსტოკიდან გამობრუნდა 31 აგვისტოს დილის 4 საათსა და 0,5 წუთზე. უკვე ტიგდანოვოსიბირსკის უბანზე 3780 კილომეტრ მანძილზე მანქანა სამჯერ მოჰყვა უძლიერესი ციკლონების ცენტრებში ნისლსა და ჭექა-ქუხილში. თვითმფრინავის თავზე მთლიანი ღრუბლები იყო. ქვევით ხინგანისა და იაბლონევის ქედის მაღალი მთები იყო. დაახლოებით 50 წუთს ამხ. ტიუტიაევს ბრმა ფრენა მოუხდა.

მიუხედავად მეტად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, მფრინავმა ამხ. ტიუტიაევმა და ბორტმექანიკოსმა ამხ. კალაშნიკოვმა მშვენივრად გაართვეს თავი თავიანთ ამოცანას. საშუალო სიჩქარე მთელი დროის განმავლობაში 305 კილომეტრს უდრიდა საათში, ხოლო ცალკეულ უბნებზე (მაგალითად, ნერჩინსკ-ირკუტსკის უბანზე) იგი 350 კილომეტრს აღწევდა.

თვითმფრინავი ნორმალურ რეისს ასრულებდა მთელი რიგი ძირდაშვებით (ყაზანში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ირკუტსკში და სხვ.)

ამხ. ტიუტიაევის გაფრენის პრაქტიკული მნიშვნელობა მეტად დიდია. საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. კოკინაკის უმაგალითო რეისის შემდეგ ამხ. ტიუტიაევის გაფრენა უფლებას იძლევა ვთქვათ, რომ უახლოეს ხანში მოეწყობა სიჩქარის საჰაერო რეგულარული მიმოსვლა ჩვენი კავშირის ცენტრსა და შორეულ აღმოსავლეთს შუა.

საჰაერო მიმოსვლა სიჩქარის საფოსტო „პს-40" თვითმფრინავებით შესაძლებელს გახდის, რომ მოსკოვიდან ვლადივოსტოკში და ვლადივოსტოკიდან მოსკოვში მეორე დღეს მიიღონ ხოლმე ფოსტა.

მიხეილ ივანეს-ძე ტიუტიაევი 1930 წელს მოვიდა ავიაციაში. წინათ ნოვოსიბირსკის დეპოს ზეინკალი იყო. 1931 წელს ამხ. ტიუტიაევმა დაამთავრა საფრენოსნო სკოლა და მას შემდეგ სამოქალაქო საჰაერო ფლოტში მუშაობს, უმთავრესად მოსკოვ-ნოვოსიბირსკის ხაზზე. ამხ. ტიუტიაევი პირველი კლასის პილოტია. 8 წლის განმავლობაში მას 3.200 საათი უფრენია.

## ყინულმჭრელ „ი. სტალინის" რეისი

**ყინულმჭრელ „ი. სტალინის" გემბანი,** 2 სექტემბერი (რადიო, სპეც. კორ.). 2 სექტემბერს 13 საათსა და 30 წუთზე გავიარეთ სიელმესის შუქურას ტრავერსი, ჩრდილოეთის განედი—71 გრადუსი, 55 წუთი. აღმოსავლეთის გრძედი—29 გრადუსი, 18 წუთი. დღეს დილით მოვუარეთ ნორვეგიას. ევროპის ყველაზე ჩრდილო კონცხი ნორდკაპი და ატლანტიკის გრიგალები და ქარიშხლები უკან მოვიტოვეთ. კიდევ 180 მილი, და ხვალ დილით მურმანსკში მივალთ. კომანდაში საზეიმო განწყობილებაა. ვამზადებთ ყინულმჭრელს ნავსადგურში მისასვლელად ნახშირისა და არქტიკული რეისისთვის საჭირო საჭურველის მისაღებად.

### მურმანსკში

**მურმანსკი,** 3 სექტემბერი (ტელეგრაფით სპეც. კორ.). დილის მზემ ამოანათა კლდოვანი ნაპირებიდან, რომლებითაც შემოზღუდულია კოლის უბე. მზით განათებული გზა, მთიანი სანაპიროების სილუეტები, სამხრეთის დილისებური სითბო — ყველაფერი ეს მშობლიური საქართველოს დილის პეიზაჟს გვაგონებს. თითქოს აი ახლა, მკვეთრად რომ მოვბრუნდეთ, გამოჩნდება მტრედისფერი ყურე ბათუმის დილის ულამაზესი პანორამით. მაგრამ ყინულმჭრელი კლდოვანი დერეფანით განაგრძობდა სვლას. უცებ, მოულოდნელად დავინახეთ მურმანსკი.

დილის 5 საათსა და 15 წუთზე ყინულმჭრელი მიადგა მშობლიურ ნავსადგურს. რომელზედაც ის მიწერილია. გაიხსნა მიტინგი. ყინულმჭრელის ეკიპაჟს მიესალმნენ მურმანსკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საწარმოთა წარმომადგენლები. საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ ყინულმჭრელის კაპიტანი, ორდენოსანი ამხ. ვორონინი და კომანდის საუკეთესო სტახანოველი, ცეცხლფარეშთა მამასახლისი, ორდენოსანი ამხ. კოროლკოვი.

მიტინგი დამთავრდა. დაუყოვნებლივ იწყება ნახშირის დატვირთვა. რაც ერთსა და იმავე დროს ორი ბანიდან ხდება გადამტვირთავი ონკანების საშუალებით. ჩვენი ყინულმჭრელის გვერდით დგანან საბჭოთა და უცხოეთის გემები; არქტიკული ფლოტის ფლაგმანის მისვლის პატივსაცემად ისინი მორთული არიან ჭრელი ალმებით.

გ. თვალაძე

## „ერმაკი" შეხვდა „ლიტკესა" და „მოსსოვეტს"

**ყინულმჭრელ „ერმაკის" გემბანი,** 2 სექტემბერი (საკდესის რადიოსპეცკორი). დღეს დილის 10 საათზე „ერმაკი" მივიდა „ლიტკესა" და „მოსსოვეტთან", რომლებიც მას ელოდებოდნენ ყინულის ნაპირზე. მათ შორის მოხდა გულთბილი შეხვედრა.

დიაკოვი.

## უკანასკნელი ცნობები

### შეთქმულების აღმოჩენა გერმანიაში

**ვარშავა,** 3 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „კურიერ ვარშავსკის" ვენელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის ავიაციის სამინისტროში აღმოჩენილია შეთქმულთა ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ჰიტლერის რეჟიმის დამხობას. ამ ჯგუფის სათავეში იდგა გამოჩენილი სამხედრო სპეციალისტი ბარონი ფონ-ფორსტნერი. ფონ-ფორსტნერის დაპატიმრებამ და სამხედრო სამართალში მიცემამ — სწერს კორესპონდენტი, — დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის სამხედრო წრეებზე. ლონდონიდან მიღებული ცნობების თანახმად, — სწერს „ილუსტროვანი კურიერ ცოძენის" კორესპონდენტი, — ფონ-ფორსტნერს ბრალი ედება სახელმწიფოს ღალატში.

# ახალწვეულნი ისწრაფვიან დადგნენ წითელი არმიის საბრძოლო დროშების ქვეშ

## ახალწვეულთა სარაიონო შეკრება ლაგოდეხში

(ლაგოდეხი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

26 აგვისტოს [illegible] 1917-18 წლებში დაბადებული ახალწვეულთა სარაიონო შეკრება [illegible]

## შეღავათებზე უარს ამბობენ

[illegible]

...შეღავათის მიღებაზე უარი განაცხადა აგრეთვე ისრაელ პეტრესძე ისრაელიანმა, რომელსაც მშობლების მოხუცებულობის გამო შეღავათი ეკუთვნის.

## წითელ არმიაში კარგად მომზადებული მივდივართ

ხაშური, 2 სექტემბერი (სატელ.). [illegible] იწყეს შეკრება ახალწვეულებმა. ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტები მუსიკით და მხიარული სიმღერით მოდიან ქუჩებში.

ნაშუადღევის 2 საათზე ადგილობრივი კლუბის დიდი დარბაზი გაივსო ახალგაზრდებით, რომლებიც მოვიდნენ წითელ არმიაში გაწვევისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომავალმა მებრძოლებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. ჰახნაკიას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობასა და ახალწვეულთა ამოცანებზე.

შემდეგ მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ახალწვეულები. ტეზრელმა კოლმეურნემ გრიგოლ ზაზიაშვილმა სთქვა:

— ჩვენ, ოქტომბრის ტოლები, დიდი აღფრთოვანებით შევხვდით სსრ კავშირის თავდაცვის რკინის სახალხო კომისრის ამხანაგ ვოროშილოვის ბრძანებას მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში მორიგი გაწვევის ჩატარების შესახებ. პირობას ვაძლევთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, რომ ყოველ წუთს მზად ვიქნებით გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას.

აგარის შაქრის ქარხნის მუშამ ამხ. გლაველმა განაცხადა:

— ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ბრძოლების მონაწილე მებრძოლთა და უმცროს მეთაურთა წერილის საპასუხოდ სიტყვას ვიძლევით, რომ ხაშურის რაიონის ახალწვეულნი წარმატებით დავეუფლებით რთულ სამხედრო ტექნიკას და ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ ვიბრძოლებთ ისე, როგორც იბრძოდნენ შორეულ-აღმოსავლეთის წითელდროშოვანი ფრონტის სახელოვანი მეომრები.

ასე ლაპარაკობდნენ დანარჩენი ახალწვეულებიც.



სამხედრო სწავლება წითელ ფლოტში

სურათზე: წითელფლოტელები ა. გარახსკი, ნ. გორიაჩევი და კ. აგაფონოვი სწავლობენ ნიჩბის მოსმას.

ფოტო რედკინისა („სოიუზფოტო")

## მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

[illegible] ციები ძირეული პრესის მუშაობის შესახებ.

თათბირზე გამოირკვა, რომ ბათუმის მთელ რიგ საწარმოებში კედლის გაზეთები მოკლებულია ადგილობრივი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და დახმარებას, რის შედეგად კედლის გაზეთების მუშაობა ძალიან სუსტია.

კედლის გაზეთების გარშემო დარაზმული არ არიან წარმოების მოწინავე ადამიანები. გაზეთები ვერ აწყობენ სტახანოველების გამოვლინებას და ამავე დროს, რაც მთავარია, არ აწარმოებენ მასობრივ აღმზრდელობითს მუშაობას მუშკორთა შორის.

თათბირზე სიტყვებით გამოსული ძირეული პრესის მუშაკები ბელაკი (ნავთსახდელი ქარხანა), რაბინოვიჩი (ნავთის მთავარი ბაზა), ყურაშვილი (ცენტრალური ხისდამმუშავებელი ქარხანა), პირკორჟი (მანქანათმშენებელი ქარხანა), გენკინი (აჭარვაჭრობა) და სხვები ლაპარაკობდნენ ძირეული პრესის მუშაობის სუსტ მხარეებზე. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დღემდე ნაკლები ყურადღება ექცევა კედლის გაზეთებში მოთავსებულ მამხილებელ წერილებზე ვამოხმაურებას.

ამხ. ზ. ართილაყვამ და პ. პეტიპსკიმ (საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომი) ილაპარაკეს იმ ღონისძიებებ[ის] გატარების შესახებ, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ძირეული პრესის შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებას.

პარტიის საქალაქო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. ვ. კლარჯეიშვილმა, შეაჯამა რა თათბირის მუშაობა, დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ძირეული პრესის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისაკენ.

ქ. დობორჯგინიძე

## აღმაშფოთებელი უმსგავსოებანი

(ცაგერი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

კავშირგაბმულობის ქუთაისის რაიგანყოფილების უფროსის ხაზარაძის უპასუხისმგებლობისა და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ცაგერის რაიონის მშრომელნი მოკლებული არიან რიგიან საფოსტო მომსახურებას.

ეს კერძოდ ითქმის გაზეთების მიწოდებაზე. 30 აგვისტოდან ცაგერში არ მიუღიათ თბილისის გაზეთები. უფრო მეტი, 26 ივლისის „კომუნისტი" აქ ერთი თვის შემდეგ, 27 აგვისტოს მოვიდა.

ეს ფაქტები ცნობილია კავშირგაბმულობის საქართველოს რწმუნებულის ამხ. მონიავასთვის, მაგრამ მდგომარეობა არ უმჯობესდება. კავშირგაბმულობის ქუთაისის განყოფილების ასეთი მუშაობის გამო ცაგერის რაიონის მშრომელნი დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

გ. ჟურაშვილი



სურათზე: რკინიგზის თბილისის მე-4 სკოლის მე-5 კლასის ფრიადოსანი ე. ზულიაშვილი თავისი კლასის მოსწავლეებს უზიარებს საზაფხულო არდადეგებზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. მარცხნივ: კლასის დამრიგებელი ამხ. ლ. ბილიხოძე.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# უზრუნველვყოთ თამბაქოს მაღალი მოსავალი და კარგი ხარისხი

ო ო

**გ. კირიაკოვი**

აქ. კ. პ. (ბ) ლუქსემბურგის რაიკომის მდივანი

ო ო

ამხანაგმა **ლ. ბერიამ** თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე განსაკუთრებით აღნიშნა თამბაქოს როლი საქართველოს სოფლის მეურნეობაში. საქართველოში მეთამბაქოობის განვითარებამ გაადიდა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობა და გადააქცია კოლმეურნეობები უფრო შეძლებულებად.

თამბაქოს კულტურამ შესაფერისი ადგილი დაიკავა ლუქსემბურგის რაიონშიაც. წელს ჩვენს რაიონში გვაქვს დაახლოვებით 500 ჰექტარი თამბაქო. მარტო ერთი წლის განმავლობაში თამბაქოს ფართობი 100 ჰექტარით გადიდდა, 15 კოლმეურნეობა მისდევს მეთამბაქოობას. მიუხედავად იმისა, რომ თამბაქო ჩვენს რაიონში მხოლოდ 2-3 წელიწადია ვითარდება, მან თვალნათლივ დაგვანახა თავისი მატერიალური ხელსაყრელობა კოლმეურნეობებისათვის. მაგალითად, კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან 10 ჰექტარ ფართობზე მიიღო 73.061 მანეთი შემოსავალი, ე. ი. ყოველ ჰექტარზე 7.306 მანეთი.

წელს ლუქსემბურგის რაიონის კოლმეურნეობებმა, ახდენენ რა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას, ჯეროვნად მოჰკიდეს ხელი თამბაქოს საქმეს. თამბაქოს დარგვა დაამთავრეს შარშანდელზე 20 დღით ადრე და უზრუნველჰყვეს თამბაქოს უკეთესად დამუშავება. ამის შედეგად დაიმსახურეს დადებითი შეფასება ამხანაგ ბერიას მოხსენებაში. ამხანაგმა ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში სთქვა: „ჩვენში უკვე დაწინაურდნენ, როგორც თამბაქოს კულტურის მოწინავეები, ბორჩალოს, ლაგოდეხის, ლუქსემბურგის რაიონები, რომლებიც ბოლშევიკურად აწყობენ ბრძოლას მაღალი ხარისხის თამბაქოსათვის. ამ წამყვან რაიონებს უნდა მიჰბაძონ აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენმა რაიონებმა და აღმოფხვრან თავიანთი ჩამორჩენა მეთამბაქოობის დარგში". ამან კოლმეურნეობებში გამოიწვია ენტუზიაზმის ახალი ტალღა თამბაქოს დარგში უკეთესი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

კოლმეურნეთა კრებებზე, მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში ამხანაგ ბერიას მოხსენების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა თამბაქოს. თავის გამოსვლებში ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ გაამართლონ უკეთესი მუშაობით ის შეფასება, რომელიც მოცემულია ამხანაგ ბერიას მიერ. კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა, ბრიგადირთა და აგროტექნიკოსთა რაიონულმა შეკრებამ მეთამბაქოობის საკითხებზე დასახა ღონისძიებანი თამბაქოს საუკეთესოდ დამუშავებისა, ალებისა და გახმობისათვის და ამასთან ერთად იკისრა ვალდებულება წელს საშუალოდ რაიონში ჰექტარზე აღებულ იქნას სულ მცირე 15 ცენტნერი თამბაქო.

ამ საქმისათვის ჩვენი პარტიული ორგანიზაციები კოლმეურნეთა მთელ მასასთან ერთად მედგრად იბრძვიან სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლის საფუძველზე.

1 სექტემბრისათვის თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 66,6 პროცენტით. აცმულია 1.582.090 ზონარმეტრი თამბაქო.

მიმდინარე წელს მიღწეულმა ერთგვარმა წარმატებებმა არ უნდა გამოიწვიოს ჩვენს რიგებში თვითდამშვიდება, ვინაიდან ჩვენ ახლაც ბევრი ნაკლი გვაქვს როგორც თამბაქოს აღებაში, ისე ხმობაში, რაც თუ უახლოეს დროში არ იქნა გამოსწორებული, უთუოდ გავლენას მოახდენს როგორც თამბაქოს მოსავლიანობაზე, ისე კოლმეურნეობათა შემოსავალზე.

ვოროშილოვის, 26 კომუნარისა და ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველჰყვეს თამბაქოს თავის დროზე აღება. ამის შედეგად ზოგიერთ პლანტაციაში ადგილი აქვს თამბაქოს გადამწიფებას, რაც ამცირებს ამ კოლმეურნეობებში თამბაქოს მოსავლიანობას და სცემს ხარისხს. ბერიას და ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობებში ნაცვლად იმისა, რომ უზრუნველეყოთ თამბაქოს შერჩევითი აღება, შეტეხა ჩაატარეს თამბაქოს თვითეული ძირისადმი ინდივიდუალური მიდგომის გარეშე. ამის შედეგად ზოგან მწვანე თამბაქო აიღეს, რითაც დასწიეს თამბაქოს ხარისხი, ასორტიმენტი და შემოსავლიანობა.

პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურად ადევნებს თვალყურს თამბაქოს თავის დროზე აღებისა და კარგად დამუშავების ორგანიზაციას. ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი სპეციალური განხილვის საგანი გახდა. რაიონულმა კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პირველადი პარტორგანიზაციების და საკოლმეურნეო აქტივის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკურად გამოამჟღავნონ არსებული ნაკლოვანებანი, დარაზმონ კოლმეურნეთა მთელი მასა მათი ლიკვიდაციისათვის, მიაღწიონ თამბაქოს მაღალ მოსავალს და კარგ ხარისხს, ამით გაადიდონ კოლმეურნეობათა შემოსავალი, უზრუნველჰყონ ნაკისრი ვალდებულება — მისცენ ქვეყანას სულ მცირე 15 ცენტნერი თამბაქო ჰექტარზე და ამრიგად სავსებით გაამართლონ ის შეფასება, რომელიც მისცა ჩვენი მეთამბაქოობის კოლმეურნეობების მუშაობას ამხანაგმა ბერიამ.

**ალ. მირცხულავა** საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი

# კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა ანგარიშგება და არჩევნები

საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილებით მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე ჩატარდება კომკავშირის კომიტეტების, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების (იქ, სადაც კომიტეტები არ არის), საამქროების, ცვლების, ფაკულტეტების და მათთან გათანაბრებულ ორგანიზაციათა ბიუროების, კომორგებისა და ჯგუფორგების ანგარიშგება და არჩევნები.

კომკავშირის ცხოვრებაში ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია უნდა ჩატარდეს ყველა კომკავშირელი ვაჟისა და ქალის რევოლუციურ ბოლშევიკური სიფხიზლის შემდგომი ამაღლების, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, პოლიტიკური განათლების ქსელის გაფართოვებისა და განმტკიცების, ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლის ნიშნით, კომკავშირის რიგებში მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის გაბედულად მოზიდვის, საუკეთესო კომკავშირელების ლენინ-სტალინის დიადი პარტიისათვის გადაცემის, კომკავშირის სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანის, ლენინურ-სტალინური კომკავშირის XX წლისთავის შეხვედრის ღირსეულად მოწყობის, კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლისათვის მომზადების, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესება-განმტკიცების ნიშნით.

მუშაობის განვლილი პერიოდი, რომლის გარშემო კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ კომკავშირელებს, მდიდარია უდიდესი პოლიტიკური მოვლენებით.

სრულიად - საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სტალინური ცენტრალური კომიტეტის და პირადად ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ლენინურ - სტალინური კომკავშირის ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს კომკავშირის შიგნით მომქმედი მავნებლების. პარტიისა და ხალხის მტრების, ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, გამცემლებისა და დივერსანტების განადგურებისათვის.

საქართველოს კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები გაიწმინდნენ ხელმძღვანელობაში შემოპარული მტრული ელემენტებისაგან და ისეთებისაგანაც, რომლებიც იჩენდნენ უდარდელობას, ფუშავდნენ ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმეს და არ იბრძოდნენ ხალხის მტრების მოქმედების აღმოსაფხვრელად. მაგრამ ეს ნებას არ გვაძლევს მივეცეთ თვითკმაყოფილებას და ვიფიქროთ, რომ ხალხის მტრების გასანადგურებლად მუშაობა უკვე დამთავრებულია. ის ფაქტი, რომ საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ხელმძღვანელობაში ამ უკანასკნელ ხანებში გამოვლინებულ იქნენ მტრული ელემენტები, ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ ხალხის მტრების, ფაშიზმის აგენტების, ნაძირალების გამოვლინებისა და განადგურებისათვის ჩვენ ჯერ კიდევ სერიოზული მუშაობის ჩატარება გვმართებს. ეს ფაქტი გვავალებს, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის დროშა მტკიცედ გვეჭიროს მაღლა და გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე. კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებში ანგარიშგებისა და არჩევნების ჩატარების პერიოდში ფხიზელი მუშაობით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოვავლინოთ და განვდევნოთ როგორც კომკავშირის რიგებში, ისე ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ დარჩენილი მტრული ელემენტები, რომლებიც ხელოვნურად აფერხებენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ლენინ-სტალინის პარტიის დავალებათა უნაკლოდ შესრულებისათვის.

როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს, ისე საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების არჩევნებში საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით გამოვლინდნენ ახალი შესანიშნავი კადრები ახალგაზრდა პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისა, რომლებიც დაუღალავად მუშაობენ ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ პოლიტიკური მუშაობის ერთერთ ბრწყინვალე მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამ პერიოდში საქართველოს კომკავშირის რიგებში შემოვიდა 57000-ზე მეტი ახალგაზრდა ვაჟი და ქალიშვილი.

ანგარიშგებამ და არჩევნებმა უნდა მოგვცეს აქტივის კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გამოვლინება და არჩევა ხელმძღვანელობაში. უნდა უზრუნველვყოთ ხალხის მტრებთან ბრძოლაში შემოწმებული, ჩვენი საყვარელი ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგული, მოწინავე და საქმის მცოდნე კომკავშირელების არჩევა კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. აგრეთვე კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს სააგიტაციო მუშაობაში მიღწეული წარმატებანი, უნდა აღმოიფხვრას მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ დარჩენილი, კომკავშირის რიგების ზრდის შემაფერხებელი მიზეზები და გაბედულად მოეწყოს მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის შემდგომი მოზიდვა კომკავშირის რიგებში.

საქართველოს კომკავშირის რიგებში მიღებული ეს მრავალ ათეულათასიანი არმია საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებისაგან, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს შინასაკავშირო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას, ყურადღებას თვითეული ახალგაზრდისადმი, მათ ჩაბმას აქტიურ კომკავშირულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საჭიროა კომკავშირში ახლად შემოსულთათვის მოვაწყოთ სპეციალური წრეები კომკავშირის წესდების და პროგრამის შესასწავლად, მივცეთ მათ კონკრეტული დავალებანი და დავეხმაროთ ამ დავალებათა შესრულებაში, გავაძლიეროთ კომკავშირის კულტურული და საწრეო მუშაობა და ფართოდ ჩავაბათ ამ მუშაობაში კავშირგარეშე ახალგაზრდობა. კომკავშირის ბევრი საქალაქო და სარაიონო კომიტეტი, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების კომიტეტები სუსტად მუშაობენ ახალმიღებულთა შორის, უყურადღებოდ სტოვებენ იმას, თუ რა გარდატეხა მოხდა ახალგაზრდობის ცხოვრებაში მისი კომკავშირის რიგებში შემოსვლით. ამიტომ არ შეიძლება კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრება ჩავატაროთ ისე, რომ არ გავაკრიტიკოთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები მათი დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის.

კომკავშირის ანგარიშგებამ და არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყოს კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის სანიმუშოდ მოწყობას მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში ახალგაზრდობის მიმდინარე გაწვევისათვის. ამასთან დაკავშირებით ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ და გავაფართოვოთ ჩვენი სამხედრო-თავდაცვითი მუშაობა, საქართველოს აეროკლუბების ახალი ნაკადი შევავსოთ საუკეთესო, საქმის მოყვარული, პოლიტიკურად მტკიცე, პარტიის საქმის ერთგული ახალგაზრდებით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოს თვითეული კომკავშირელი დაეუფლოს განსაზღვრულ სამხედრო სპეციალობას, რათა ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას სამხედრო საქმეს წინასწარ გაცნობილი შევსება მივცეთ.

კომკავშირის საპატიო ამოცანაა დაუღალავი და დაუზარელი მუშაობა ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

მიმდინარე ანგარიშგებამ და არჩევნებმა უნდა მოგვცეს საუკეთესო მომზადება კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლისათვის. როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, საქართველოს კომკავშირის მთელ რიგ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ვერ არის მოწესრიგებული „კომკავშირული მეურნეობა", ცუდად არის დაყენებული კომკავშირელთა აღრიცხვის საქმე, კომკავშირელები გადადიან ერთი რაიონიდან მეორეში ისე, რომ ამის შესახებ რაიკომმა არაფერი იცის, და ამის გამო რაიკომებს მათი კომკავშირული დოკუმენტები მექანიკურად ამოაქვთ საქმიდან, რასაც არევდარევა შეაქვს კომკავშირის აღრიცხვიანობაში. ასე, მაგალითად, კომკავშირის ხაშურის რაიკომს 800-ზე მეტი პირადი ბარათი აქვს ისეთი კომკავშირელებისა, რომელთა ადგილმყოფობა გამოურკვეველია, ამბროლაურის რაიკომს — 585, თბილისის რაიკომს—600-ზე მეტი, ზესტაფონის რაიკომს—300-ზე მეტი და სხვ. კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა შეუძლებელია ისე, თუ არ მოგვარდა კომკავშირელების ზუსტი აღრიცხვა როგორც პირველადს ორგანიზაციებში, ისე საქალაქო და სარაიონო კომიტეტებში. უნდა გამოვავლინოთ ყველა კომკავშირელი, რომლის ადგილმყოფობა გამორკვეული არ არის. არის შემთხვევები, როდესაც კომკავშირელები მუშაობენ პირველადს ორგანიზაციებში იმავე რაიონში, სადაც ისინი თავიდან ირიცხებოდნენ, ხოლო რაიკომები მათ სთვლიან ეგრეთწოდებულ „მკვდარ სულებად". კომკავშირის სიღნაღის რაიკომმა „მკვდარი სულებიდან" თავის რაიონში გამოავლინა 120 კომკავშირელი, ზესტაფონის რაიკომმა — 151, მახარაძისამ — 169.

„კომკავშირული მეურნეობის" მოსაწესრიგებლად ისე უნდა მოვაწყოთ მუშაობა, რომ კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლის დაწყების მომენტისათვის არ გვყავდეს არცერთი ისეთი კომკავშირელი, რომლის კომკავშირული დოკუმენტები წესრიგში არ იყოს მოყვანილი. დავნერგოთ ყოველ კომკავშირელში იმის შეგნება, რომ ის თავის კომკავშირულ დოკუმენტს თვალისჩინივით უვლიდეს და უფრთხილდებოდეს.

პირველადს ორგანიზაციებში კომკავშირული ორგანიზაციების ანგარიშგება და არჩევნები ემთხვევა ლენინურ-სტალინური კომკავშირის ოცი წლისთავისათვის მზადებას. საკავშირო კომკავშირის ყველა ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებშიც ფართოდ არის გაშლილი მუშაობა XX წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად დედა-სამშობლოსათვის საჩუქრების მოსამზადებლად. ამ საჩუქრებში განსახიერებულია საბჭოთა ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობა, მისი ერთიანობა, სიმტკიცე და მზადყოფნა — ბოლომდე იბრძოლოს სოციალიზმის საქმისათვის, ლენინისა და სტალინის დიადი საქმისათვის ისე, რომ ერთი ნაბიჯითაც არ დაიხიოს უკან. კომკავშირულ და არაკომკავშირულ ახალგაზრდობაში სჩქეფს ინიციატივა — შეასრულოს შესანიშნავი ახალი საქმეები ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის სასახელოდ. კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოები, მისი მუშაკები ბოლშევიკურად უნდა ჩაუდგნენ სათავეში საბჭოთა ახალგაზრდობის ამ აზვირთებულ აქტივობას.

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ანგარიშგების და არჩევნების პერიოდში ყოველმხრივ უნდა გააფართოონ მრეწველობის, ტრანსპორტისა და საკოლმეურნეო მინდვრების ახალგაზრდა სტახანოველთა რიგები. საჭიროა თვითეული ახალგაზრდა მუშისა და კოლმეურნის კუთვნილებად ვაქციოთ სტახანოველთა — მოწინავე ტექნიკის ოსტატთა გამოცდილება. უნდა გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის ტექნიკური სწავლება, საერთო-საგანმანათლებლო და კულტურულ-მასობრივი მუშაობა, რომელშიც ჩაბმულ უნდა იქნან პროფკავშირული ორგანიზაციები. სოფლად საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მომუშავე ახალგაზრდობიდან სტახანოველთა რიგების გასაზრდელად საჭიროა ფართოდ მოხდეს ჩაის კრეფისა და გადამუშავების სტახანოველთა — საუკეთესო კომბაინერთა, ტრაქტორისტთა, ბრიგადირთა, სოციალისტური მინდვრების ამ ოსტატთა გამოცდილების პოპულარიზაცია. ამ საქმეში კომკავშირის როგორც რესპუბლიკურმა, ისე საოლქო გაზეთებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ.

საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებმა მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდონ ხელი არჩევნების ჩატარების ყველა საკითხს, კომკავშირის კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მდივნების ანგარიშგების წინასწარი მომზადება, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომკავშირელთა ასი პროცენტით გამოცხადების უზრუნველყოფა, მუშაობაში არსებული ყველა ნაკლოვანების გამოვლინება, კომიტეტის ან პირველადი ორგანიზაციის მდივნის მიერ ჩატარებული მუშაობის სწორად შეფასება და ნამდვილი საქმიანი ღონისძიებების დასახვა მომავალი მუშაობისათვის — ყოველივე ეს საანგარიშო - საარჩევნო კრების კარგად მომზადების მაჩვენებელია. საჭიროა რაიკომებმა ჩაატარონ კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების მდივნების რაიონული საინსტრუქციო თათბირები ანგარიშგებისა და არჩევნების ყველა საკითხის დეტალურად გასარკვევად, მიამაგრონ რაიკომების მუშაკები, ბიუროს და პლენუმის წევრები და სხვა აქტივისტები კომკავშირის თვითეულ პირველადს ორგანიზაციას დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის. საანგარიშო-საარჩევნო კრებების კარგად ჩატარების შედეგად კომკავშირის პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში უნდა მოვიდნენ საუკეთესო კომკავშირელები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი, ხალხის მტრებისადმი შეურიგებელნი, პრაქტიკულ მუშაობაში შემოწმებული ამხანაგები.

საქართველოს კომკავშირის საქალაქო და სარაიონო კომიტეტთა უმრავლესობის ხელმძღვანელები ახალი ამხანაგები არიან, რომლებსაც არა აქვთ დახურული (ფარული) კენჭისყრით არჩევნების ჩატარების გამოცდილება. ამიტომ მათ განსაკუთრებული მონდომებით, დაკვირვებით, პოლიტიკური პასუხისმგებლობის გრძნობით ჰმართებთ სერიოზული და თანმიმდევრული მუშაობა ამ ფრიად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმის წარმატებით ჩატარებისათვის.

საქ. ალკკ ც. კ-ის დადგენილება გვავალებს უზრუნველვყოთ თვითეული კომკავშირელის აქტიური მონაწილეობა ანგარიშგებასა და არჩევნებში შინაკომკავშირული დემოკრატიის ფართოდ გაშლის გზით და რაც მთავარია, ნამდვილი საქმიანი კონკრეტული დახმარება პირველადი ორგანიზაციებისადმი, რაც საქართველოს კომკავშირის თვითეულ ხელმძღვანელ მუშაკს უნდა ახსოვდეს არჩევნების ჩატარების პერიოდში.

მომავალი ანგარიშგებისა და არჩევნების წარმატებით ჩატარების უზრუნველყოფის ერთერთ მთავარ პირობას წარმოადგენს პარტიული ორგანიზაციების ნამდვილი საქმიანი დახმარება და ხელმძღვანელობა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს საქართველოს კომკავშირის მუშაობის საკითხებზე, უკვე მიიღო დადგენილება საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციებში ანგარიშგებისა და არჩევნების კამპანიის პარტიული ხელმძღვანელობით უზრუნველსაყოფად და დაავალა საქ. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს აღმოუჩინონ კომკავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს საჭირო დახმარება ანგარიშგებისა და არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას აქვს ახლახან ჩატარებული ხელმძღვანელ პარტორგანოების არჩევნების უდიდესი გამოცდილება, რომლის გადაცემას კომკავშირისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს კომკავშირის ანგარიშგებისა და არჩევნების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ყოველდღიური დახმარებით შესძლებენ წარმატებით ჩაატარონ მომავალი ანგარიშგება და არჩევნები, კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმებიან ლენინ-სტალინის პარტიის — მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა ახალგაზრდობის მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

# ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარტიაში მიღებას

## ყვარლის რაიონი

— წინათ ყვარელში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა პარტიის რიგების ზრდას, — ამბობს პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. მ. მენთეშაშვილი. — 1936-37 წლებში არცერთი კაცი არ მიუღიათ პარტიაში. ჩვენს რაიონში პარტიაში მიღება ფაქტიურად მიმდინარე წლიდან დაიწყო. პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ ლ. ბერიას საანგარიშო მოხსენების შესწავლის შემდეგ პირველადმა პარტორგანიზაციებმა შესძლეს პარტიის რეზერვთან მუშაობის გაძლიერება. მთავარი ყურადღება მივაქციეთ ბოლშევიზმის დაუფლებას. გულდასმით შევისწავლეთ ის ამხანაგები, რომლებსაც თანამგრძნობთა ჯგუფში და კომკავშირში ყოფნის საკმაო სტაჟი ჰქონდათ.

ამ ერთი თვის წინათ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ პარტიაში მიღების საკითხებზე მოისმინა სოფელ ენისელის ტერიტორიული, სოფელ ფატმასურის საბჭოთა მეურნეობის და ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებები. მათ ეს საქმე სუსტად ჰქონდათ დაყენებული. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობის პირველადს პარტორგანიზაციას (პარტორგი ნ. თათარაშვილი) დღიდან პარტიაში მიღების განახლებისა მხოლოდ ერთი კაცი ჰყავდა მიღებული. ეს მაშინ, როცა მეურნეობაში ათობით არიან საუკეთესო სტახანოველები და სპეციალისტები. ბიუროზე დავსახეთ სათანადო ღონისძიებანი და რაიკომის ინსტრუქტორებს სპეციალურად დავავალეთ ყოველდღიური დახმარება გაეწიათ პარტიაში ახალ წევრთა მიღების მხრივ ჩამორჩენილი პარტორგანიზაციებისათვის.

ასეთ ღონისძიებათა გატარების შედეგად პარტიის XI ყრილობის შემდეგ პარტიაში მივიღეთ 47 კაცი. გარდა ამისა, რაიკომში განსახილველად გვაქვს 18 საქმე, რომელიც შემოსულია 10 აგვისტოს შემდეგ. ამ რიცხვიდან უმრავლესობა პარტიაში მესამე კატეგორიით არის მიღებული. ახალ მიღებულთა შორის 21 კოლმეურნეა, 9 ტრაქტორისტი, 2 კომბაინერი, 6 მასწავლებელი, ხოლო დანარჩენნი აგრონომები, ინჟინრები, ზოოტექნიკოსები და სხვ. არიან. ზოგიერთ პირველადს პარტორგანიზაციებს დღემდე არცერთი კაცი არ მიუღიათ პარტიაში. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის სარეწაო არტელის პარტორგანიზაციის პარტორგი (ამხ. ატაქსიშვილი) პარტიაში მიღების საკითხებზე სუსტად მუშაობს. უნდა აღინიშნოს, რომ რაიკომის ინსტრუქტორებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პარტიის ზრდისათვის. ცალკეულ კანდიდატებს, თანამგრძნობებს და კომკავშირელებს ვერ ეხმარებიან საბუთების გაფორმებაში, არ ატარებენ მათთან საუბრებს და სხვ

### მხოლოდ 66 თანამგრძნობი

თანამგრძნობები პარტიის უმნიშვნელოვანესი რეზერვია. მათ ყოველმხრივ დახმარება და ხელისშეწყობა სჭირდებათ. ამ მხრივ ყვარლის პარტრაიკომი და მთელი რიგი პარტორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. არასაკმაოდ იზრდება თანამგრძნობთა რიგები. საუკეთესო კოლმეურნეებს და სპეციალისტებს, რომლებმაც თავიანთი თავდადებული მუშაობით დაუმტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიას ერთგულება, ნაკლებად იზიდავენ თანამგრძნობთა რიგებში. მთელს რაიონში მხოლოდ 66 თანამგრძნობია, რაც ძლიერ მცირეა. ისეთი დიდი კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია, როგორიცაა „დურუჯი", 1934 წლიდან 1938 წლამდე არცერთი კაცი არ მიუღია თანამგრძნობად.

კოოპერაციის პირველადს პარტორგანიზაციას თანამგრძნობთა ჯგუფში მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს და იმისთვისაც არავითარი პარტიული დავალება ჯერ არ მიუცია. ამ მხრივ კარგი მდგომარეობა არც ყვარლის მტს-შია, რომლის პარტორგანიზაციასთან არსებულ თანამგრძნობთა ჯგუფში 15 კაცია. აქედან მხოლოდ ერთია ქალი. ამ 15 თანამგრძნობიდან რვას არავითარი დავალება არა აქვს. სამი თვეა თანამგრძნობთა შორის მომუშავედ გამოყოფილია ამხ. მიხ. არეშიძე, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში თანამგრძნობთა ჯგუფში პარტიის წესდებისა და პროგრამის შესახებ მხოლოდ ორი საუბარი ჩაატარა. პარტკომმა მაისში მოისმინა არეშიძის მოხსენება და უმოქმედობისათვის მითითება მისცა. 18 ივნისს კიდევ მოისმინა მოხსენება და კიდევ მითითება მისცა. 22 აგვისტოს მესამედ მოისმინა არეშიძის მოხსენება. გამოირკვა, რომ მას თანამგრძნობთა შორის არავითარი მუშაობა არ უწარმოებია, რისთვისაც მისცეს გაფრთხილება. იბადება კითხვა: სანამ პარტორგანიზაცია თავისი მითითებებით პარტიის უდისციპლინო წევრს არეშიძეს გამოასწორებდეს, მანამ თანამგრძნობებთან არაფერი უნდა გაკეთდეს?

კოლმეურნეობა „დურუჯის" წევრები ზ. ბეჟანიშვილი, გ. ლაფაური, პ. ქანდურიშვილი და ვ. მეტრეველი 1934 წლიდან არიან თანამგრძნობებად, მაგრამ იმის გამო, რომ მათთან პოლიტაღმზრდელობითს მუშაობას სისტემატურად არ აწარმოებდნენ, ისინი დღესაც არ არიან მომზადებულნი პარტიაში შესასვლელად. ამავე კოლმეურნეობის 7 თანამგრძნობიდან მხოლოდ ორს აქვს მიცემული დავალება. თანამგრძნობები პოლიტსკოლებს სისტემატურად ვერ ესწრებიან. სოფელ გავაზის კოლმეურნეობა „განთიადის" წევრი თ. მაჭავარიანი 1934 წლიდანაა თანამგრძნობი. მას დავალებული ჰქონდა თავის ჯგუფში გაზეთის ხმამაღლა კითხვა, მაგრამ არავინ დაეხმარა და ეს დავალება არ შეუსრულებია.

— პარტიაში შესასვლელად ჯერ არა ვარ მომზადებული — განაცხადა ამხ. თ. მაჭავარიანმა. და ეს მართალიც არის. ამხ. მაჭავარიანს თანამგრძნობთა ჯგუფში ყოფნის 4 წლის სტაჟი აქვს, მაგრამ პარტორგანიზაციამ ვერ შესძლო მისი სათანადოდ აღზრდა და მომზადება. ეს გამონაკლისი როდია.

### მივიღოთ პარტიაში საუკეთესო კომკავშირელები

ყვარლის პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში 1800 კაცია. დღემდე პარტიაში მიღებულია 63 კომკავშირელი, ხოლო კომკავშირის რაიკომიდან 110-ზე მეტს აქვს შუამდგომლობა, მაგრამ მათ დღემდე ვერ მოახერხეს პარტიაში შესასვლელად დანარჩენი საბუთების გაფორმება. ამაზე პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. მენთეშაშვილმა მიიღო სათანადო ზომები. მან შეისწავლა ყველა მიზეზი, რაც ხელს უშლიდა იმ კომკავშირელებს, რომლებსაც ჰქონდათ რაიკომის შუამდგომლობა და სჭირდებოდათ პარტიაში შესვლისათვის დანარჩენი საბუთების გაფორმება. პარტიის რაიკომის მდივანი დაეხმარა მათ რეკომენდატორების შოვნაში და სხვ. გარდა ამისა, პარტიაში მიღების საკითხებზე პარტრაიკომმა ორჯერ მოიწვია კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორთა თათბირი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კომკავშირის რაიკომი (მდივანი ამხ. რ. ჰაბუკიანი) სუსტად მუშაობს პარტიაში კომკავშირელთა მიღების საქმის ორგანიზაციისათვის. არ კმარა მარტო შუამდგომლობების გაცემა, საჭიროა ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა, თვითეული კომკავშირელის გულდასმით შესწავლა და დახმარება პარტიაში მიღების საქმეში.

მთელი რიგი პირველადი პარტორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ კომკავშირულ ორგანიზაციებს. 3—4 თვეში ერთხელ მოისმენენ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მოხსენებას, დასახავენ ზოგად ღონისძიებებს და გონიათ, რომ ამით დიდი საქმე გააკეთეს. მაგალითად, კოლმეურნეობა „დურუჯთან" არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ მიმდინარე წელს ორჯერ მოისმინა კომკავშირის მდივნის მოხსენება, დასახა ღონისძიებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ მათი შესრულების შემოწმება არავის მოჰგონებია. კოლმეურნეობა „განთიადში" 16 კომკავშირელი მუშაობს, აქედან მხოლოდ ორი მიიღეს პარტიაში.

კომკავშირელთა აღზრდას, პარტიაში მათ მიღებას და დაწინაურებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მათ უფრო მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სჭირდებათ. აი რას უნდა მიაქციონ ყურადღება ყვარლის პარტრაიკომმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა და კომკავშირის რაიკომმა.

### პარტიის წევრობის კანდიდატებს მეტი ზრუნვა და დახმარება

პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის მხრივ ყვარლის პირველადი პარტორგანიზაციები ვერ გამოიყურებიან კარგად. რაიონში პარტიის წევრობის 24 კანდიდატი სტაჟს 1931 წლიდან ითვლის. მათ სუსტად ეხმარებიან რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაციის პარტორგანიზატორები. ზოგ მათგანს არავითარი დავალება არ აქვს, პარტიულ მუშაობაში არ არის ჩაბმული.

კოლმეურნეობა „დურუჯის" წევრი სიმონ ლოლიაშვილი 1931 წლიდან არის პარტიის წევრობის კანდიდატი. მიუხედავად ასეთი დიდი სტაჟისა, ის მაინც ვერ ერკვევა პარტიის წესდებისა და პროგრამის საკითხებში.

ამხ. ლოლიაშვილმა უმიზეზოდ 5-ჯერ გააცდინა მეცადინეობა, მაგრამ ამის შესახებ მისთვის არავის არაფერი უთქვამს. პარტორგანიზატორმა ნ. ფილიშვილმა განაცხადა, კანდიდატებს სხვადასხვა პარტიული დავალება აქვთო, მაგრამ რომელ კანდიდატს რა დავალება აქვს, ან როგორ ასრულებს მას, ამის შესახებ არსად არაფერი სწერია.

სოფელ გავაზის კოლმეურნეობა „განთიადთან" არსებულ პირველადს პარტორგანიზაციაში საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობამდე პარტიის წევრობის კანდიდატად სამი კაცია მიღებული. ამ პარტორგანიზაციაში ერთი შეხედვით კარგად მუშაობენ კანდიდატებთან, მაგრამ არსებულ მდგომარეობას თუ კარგად ჩავუკვირდებით, მაშინ ნაკლს უფრო მეტს დავინახავთ, ვიდრე მიღწევას. პარტორგანიზაციამ მოისმინა პარტიის წევრობის კანდიდატების დ. ალადაშვილის და გ. თათრიშვილის თვითანგარიშები. ამხ. გ. თათრიშვილი გამოყოფილი იყო მეცხოველეობის ფერმაში აგიტატორად. მაგრამ მას იქ არაფერი გაუკეთებია. არც დ. ალადაშვილს შეუსრულებია დავალება. პარტორგანიზაციამ მათ ამის შესახებ მიუთითა, მაგრამ ისინი არც ახლა აკეთებენ რაიმეს. არ კმარა მარტო მითითება, საჭირო იყო პარტორგანიზაციას მათთვის გამოცდილი კომუნისტი მიემაგრებინა და გამოესწორებინა მუშაობა.

ყვარლის რაიაღმასკომთან არსებულმა პარტიულმა კომიტეტმა მიმდინარე წელს 9 კაცი მიიღო კანდიდატად, მაგრამ მათთან სათანადო მუშაობა არ სწარმოებს. ამავე პარტორგანიზაციაში არიან კანდიდატები, რომელთაც დიდი სტაჟი აქვთ. მაგალითად, ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. აკ. ჭელიძე 1931 წლიდანაა პარტიის წევრობის კანდიდატი, მაგრამ პარტიაში შესასვლელად ყველა საბუთი ჯერაც არა აქვს გაფორმებული.

პარტკანდიდატებთან მუშაობა გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს. სტაჟგადაცილებული კანდიდატები გულდასმით უნდა მოვამზადოთ პარტიაში მისაღებად.

### გავაძლიეროთ მუშაობა პარტიაში ქალების ჩასაბმელად

საქ. კ. პ. (ბ) რიგებში ქალთა მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ყვარლის პირველადმა პარტორგანიზაციებმა თავიდანვე ვერ გაშალეს მუშაობა. რაიონში 75 ახალმიღებულიდან 11 ქალია. გარდა ამისა, რაიკომში 8 ქალის საქმეა განსახილველი. ეს მაშინ, როცა რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმოებში ასობით სტახანოველი და ლენინ-სტალინის საქმის ბოლომდე ერთგული ქალი მუშაობს, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ პარტიაში შესვლისა, მაგრამ მათ სჭირდებათ დახმარება, რაც პარტორგანიზაციებმა უნდა აღმოუჩინონ. ამ მხრივ ყვარლის რაიონის პარტორგანიზაციების უმრავლესობა სუსტად მუშაობს. მაგალითისათვის ავიღოთ ისევ კოლმეურნეობა „დურუჯი", რომლის პარტორგანიზაციას არცერთი ქალი არ მიუღია პარტიაში. ამ კოლმეურნეობაში 25-ზე მეტი დამკვრელი და სტახანოველი ქალია, რომლებსაც მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 200-200 შრომადღე აქვს გამომუშავებული. პარტორგანიზაციამ (პარტორგი ამხ. ნ. ფილიშვილი). მხოლოდ ერთი ქალი მიიღო თანამგრძნობად და ამით დაკმაყოფილდა.

მიმდინარე წელს ყვარლის რაიონის პარტორგანიზაციებმა 47 კომკავშირელი მიიღეს პარტიაში. აქედან მხოლოდ 10 ქალია. ეს რიცხვი ძალიან ცოტაა. რაიონში ათეული და ასეული კომკავშირელი ქალია, რომლებსაც პარტორგანიზაციები პარტიაში შესვლისათვის ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ.



ყვარლის მტს-ის პარტორგანიზატორი პარტიის წესდებისა და პროგრამის საკითხებზე ესაუბრება პარტიის წევრობის კანდიდატებს და თანამგრძნობებს. სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) — ლ. პაპოშვილი, მ. ასაბაშვილი, ლ. თეთრაშვილი, ვ. ბუხალაძე, გ. მამუკიშვილი, მ. ღვინიაშვილი, დ. ტყეშელაშვილი (პარტკომის მდივანი), ალ. შიუკაშვილი და ი. იაგორაშვილი. ფოტო ი. ტორისა.

### დავეუფლოთ ბოლშევიზმს

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარტიაში ახლად მიღებულთა უმრავლესობას მიცემული აქვს მისი ცოდნისა და უნარის შესაფერი პარტიული დავალება. ისინი უმთავრესად მუშაობენ აგიტატორებად და გაზეთის ხმამაღლა წამკითხველებად.

ყვარლის რაიონის მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებთან არსებულ პოლიტსკოლებში მეცადინეობის ჩაშლას ჯერ კიდევ აქვს ადგილი. მტს-ში პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეს თვითონ პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობს. მეცადინეობა ორჯერ ჩაიშალა. როგორც თვით პროპაგანდისტმა განაცხადა, არადამაკმაყოფილებელია განვლილი მასალის ათვისება. ბევრი მსმენელი კონსპექტს ვერ ადგენს. სუსტებზე არ მიუმაგრებიათ ძლიერი მსმენელები და სხვ.

არ კმარა მარტო მეცადინეობის ჩაშლისა და გაცდენების აღრიცხვა. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა. თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციებს, რომლებმაც შესძლეს პოლიტსკოლების მუშაობის გაუმჯობესება, მდიდარი გამოცდილება აქვთ. ივლისში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ გამოცდილებათა შესახებ მოთავსებული იყო პარტკომის მდივნების წერილები, რომლებიც თათბირზე სპეციალურად განიხილეს ყვარლის რაიონის პარტმუშაკებმა. მაგრამ შემდეგ პარტორგანიზაციებში არ დაუსვამთ ეს საკითხი და ფართოდ არ მოუწყვიათ გამოცდილებათა გადატანა.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომმა მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილების გადატანით, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობით და ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანთა ბოლშევიკურად აღზრდით უნდა შესძლოს პარტიის რიგების ზრდის კიდევ უფრო გაძლიერება.

**კლ. გოგიავა**

---

ა. ლარინი

# ორი სამყაროს ახალგაზრდობა

ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღე — 1938 წლის სექტემბერში ტარდება ახალი მსოფლიო ომის საშიშროების განსაკუთრებული გამწვავების პირობებში. აგრესიული ფაშისტური ქვეყნები—გერმანია, იაპონია, იტალია ცდილობენ დაანთონ მსოფლიო ხანძარი. იაპონიის გაუმაძღარი იმპერიალიზმი უკვე რამდენიმე წელიწადია ინტერვენციონისტული არმიების ეშვებით ჩააფრინდა ჩინეთის სხეულს, ასიათასობით ხოცავს მშვიდობიან მცხოვრებლებს, სწვავს და ანადგურებს უძველესი და დიდი ქვეყნის უმდიდრესი პროვინციების სოფლებსა და ქალაქებს. იტალიის იმპერიალიზმმა ყელში ჩასჭიდა ხელი აბისინიას და ცდილობს დაიმონოს იგი. ფაშისტი ინტერვენტები არ ჩერდებიან არავითარი დანაშაულის წინაშე, რათა ესპანელ ხალხს წაართვან დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ღირსება, რათა გადააქციონ ესპანეთი თავიანთ კოლონიად, საფრანგეთის დემოკრატიული ხალხის, მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ შეტევის პლაცდარმად. ომის ფაშისტი პროვოკატორები გერმანიიდან, იაპონიიდან, პოლონეთიდან ყველანაირად ცდილობენ მოაწყონ სამხედრო ინტერვენცია სსრ კავშირის — მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოს წინააღმდეგ, გზავნიან ჩვენს ქვეყანაში საზიზღარ დივერსანტებს, აწყობენ ტერორისტთა, მავნებელთა, ჯაშუშთა ტროცკისტულ-ბუხარინულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებს. ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან ჰიტლერი ცდილობს დაანთოს სრულიად-ევროპის ომის ცეცხლი. ახალ ომში, მშრომელი მასების კიდევ უფრო თავშეუკავებელ ექსპლოატაციაში ეძებენ ფაშისტი აგრესორები გამოსავალს იმ წინააღმდეგობებიდან, რომელნიც ჯიჯგნიან კაპიტალიზმს, ახალი მსოფლიო ეკონომიური კრიზისიდან.

სიღატაკე, უმუშევრობა, შიმშილი — აი რა ახასიათებს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასების მდგომარეობას. „მასობრივი უმუშევრობა, მზარდი რაოდენობა ახალგაზრდობისა, რომელსაც არასოდეს არ უმუშავნია და საერთოდ არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს პროფესია, წარმოებაში მომუშავეთა სასტიკი ექსპლოატაცია; გლეხი ახალგაზრდობის გაღატაკება; ახალგაზრდობისათვის პოლიტიკური უფლებებისა და კულტურული ცხოვრების უფლებების წართმევა; როგორც საერთო, ისე სპეციალური განათლების მიღების შესაძლებლობის მკვეთრად შემცირება; ყოველგვარი პერსპექტივის დაკარგვა; ახალგაზრდობის ჯანსაღი ყოფაცხოვრების რღვევა, მაწანწალობის, დანაშაულებათა და სიღატაკის ზრდა" — აი როგორ ახასიათებდა ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესი მილიონობით ახალგაზრდა მუშებისა და გლეხების ცხოვრებას კაპიტალიზმის ქვეყნებში. განსაკუთრებით მძიმეა მშრომელი ახალგაზრდობის ცხოვრება ფაშიზმის ქვეყნებში. ფაშისტური პრესაც კი იძულებულია აღიაროს „ახალგაზრდობის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება გერმანიაში". გერმანიის არმიის სანიტარული ინსპექციის ცნობებით, 1935 წელს ორგანიზმის საერთო დასუსტება აღმოაჩნდა ახალწვეულთა 6,52 პროცენტს, 1936 წელს — 13,61 პროც. მარტო ერთი წლის განმავლობაში გაყალბებული ფაშისტური ცნობებითაც კი პროცენტი ერთიორად გაიზარდა. ფაშისტური გერმანიის სოფლებში 1937 წელს გატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ, რომელიც გაიარა 108.000 ვაჟმა და 6.500 ქალიშვილმა, გვიჩვენა, რომ „შემოწმებულთა მხოლოდ 4 პროცენტს შეეძლო შესვლა ფიზიკური კულტურის ცენტრალურ კურსებზე. უმრავლესობას აღმოაჩნდა ფეხების დაავადება, ხერხემლის გამრუდება, საერთოდ ფიზიკური მოღუნება და სისუსტე". ფრანგულ გაზეთ „ორორის" ცნობებით, გერმანიის ქვანახშირის მაღაროებში და მრავალ ფაბრიკაში მუშაობა 11-14 საათს გრძელდება. ბადენის ერთერთ სახელოსნოში 14-15 წლის ბიჭები — კაპიტალის ეს ახალგაზრდა მონები — მუშაობენ 20 საათს დღეღამეში, 2-3 საათის შესვენებით. გერმანიის მუშების ნახევარზე მეტს (56,2%) ხელფასი აქვს 25 მარკაზე ნაკლები კვირაში, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია ოფიციალურ საარსებო მინიმუმზე. გერმანიაში ნახევარ მილიონზე მეტი ვაჟები და ქალიშვილები გაგზავნილნი არიან შრომის ბეგარის ბანაკებში. ფაშისტურ გერმანიაში ოფიციალურად რეგისტრირებულ 1.000.000 უმუშევარს გარდა, 1938 წლის ცნობებით ირიცხება კიდევ 1.700.000-მდე „უჩინარი" უმუშევარი, რომელთა მნიშვნელოვან რაოდენობას ახალგაზრდობა შეადგენს. ფაშისტური გერმანიის საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმართა 60% ახალგაზრდობაა. კულტურის გაღატაკება და კვდომა დაეტყო მოსწავლე ახალგაზრდობის ფართო ფენებს. გერმანიაში უმაღლეს სკოლაში ყოველწლიურად შემსვლელთა რაოდენობა 1932 წლის 14.000-დან 1935 წელს 7.000-მდე შემცირდა. გერმანიის 7 მთავარ ტექნიკურ ფაკულტეტზე ახლად შემსვლელთა რიცხვი 1932 წლის 16.250-დან 1937 წელს შემცირდა 8.330-მდე. გერმანიაში სტუდენტთა საერთო რიცხვი 1930 წლის 132.000-დან 1937 წელს შემცირდა 73.000-მდე.

საშინელი სიღატაკე და უმუშევრობაა გამეფებული მუშა და გლეხ ახალგაზრდობას შორის პოლონეთსა, იაპონიასა, იტალიაში და სხვა ქვეყნებში. ამერიკაში რამდენიმე მილიონი უმუშევარი ახალგაზრდაა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მილიონობით ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს საერთოდ არა აქვთ არავითარი პერსპექტივა კაპიტალიზმის დროს სამუშაოს მიღებისა. უმუშევრობა ქრონიკული გახდა. მშრომელი ახალგაზრდობა მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს. ბურჟუაზიული ქვეყნების უმრავლესობაში არჩევის უფლება მინიჭებული არა აქვთ ახალგაზრდებს 21 წელს ქვევით, ხოლო იაპონიაში, რუმინეთში, პოლონეთში 24-25 წელს ქვევით. იმის უფლება, რომ არჩეულ იქნან, აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებმაც მიაღწიეს 25, 30 და თვით 40 წლის ასაკს. და ეს „უფლებაც" ფაშიზმის ქვეყნებში გადაქცეულია ამომრჩევლებისადმი უხეშ დაცინვად.

კაპიტალიზმის შავბნელ კოშმართან რა დიდ კონტრასტს წარმოადგენს სტალინური ახალგაზრდობის სოციალისტური ცხოვრება. საბჭოთა ახალგაზრდობას, ისე როგორც დიადი სოციალისტური ქვეყნის ყველა მოქალაქეებს, აქვს შრომის, დასვენების, განათლების უფლება. მან არ იცის სიღატაკე და უმუშევრობა. ოქტომბრის ერთერთი პირველი დეკრეტი იყო 6-საათიანი სამუშაო დღე მოზარდთათვის 16-დან 18 წლამდე, სრული სამუშაო დღის ხელფასის მიცემით. 14-16 წლის მოზარდთა შრომა დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ამასთან მათი სამუშაო დღე არ შეიძლება 4 საათს აღემატებოდეს.

საბჭოთა ქვეყნის თვითეული ახალგაზრდა მოქალაქის წინაშე გაშლილია მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, მთელი თავისი უნარისა და ნიჭის გამოჩენის შესაძლებლობა. კულტურული მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირმა 1937 წელს დახარჯა 24,450 მილიონი მანეთი. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ბიუჯეტის მიხედვით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები 20-ჯერ გაიზარდა. 1938 წელს ბიუჯეტიდან და ბიუჯეტის გარეშე წყაროებიდან კულტურული მიზნებისათვის დაიხარჯება 42 მილიარდ მანეთზე მეტი. სსრ კავშირში უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა 1914 წელთან შედარებით გაიზარდა 8-ჯერ, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობამ მიაღწია 550 ათასს, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ინგლისისა და საფრანგეთის სტუდენტთა საერთო რაოდენობაა. საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე გაიზარდა 18-ჯერ, ყველა სკოლების მოსწავლეთა რიცხვმა მიაღწია 38-ნახევარ მილიონს, 5-ჯერ მეტს, ვიდრე 1914 წელს იყო.

საბჭოთა ქვეყანაში არ არიან სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც სკოლაში არ დადიოდნენ. საბჭოთა ახალგაზრდობა ყველაზე ჯანსაღი ახალგაზრდობაა მსოფლიოში. ჩვენს ქვეყანაში 10 მილიონამდე ახალგაზრდა ფიზკულტურელია.

ძლიერ გაიზარდა საბჭოთა ახალგაზრდობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონე და ხელფასი. საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მთელ ცხოვრებაში. სტალინური კონსტიტუციის მიხედვით მთელს ახალგაზრდობას, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია, უფლება აქვს აირჩიოს და არჩეულ იქნას. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებს შორის ასეულობით არიან ახალგაზრდა სტახანოველები, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები. საბჭოთა ახალგაზრდობამ გვიჩვენა გმირობისა და სოციალისტური სამშობლოსადმი, ბოლშევიკების პარტიისადმი, მისი გენიალური ბელადის—სტალინისადმი ერთგულების ნიმუშები. საბჭოთა ახალგაზრდობამ ჩვენს ქვეყანას მისცა ისეთ გმირ მფრინავთა კადრები, როგორიცაა კამანინი, მრეწველობის ისეთი სტახანოველები, როგორიც არიან ევდოკია და მარუსია ვინოგრადოვები, სოფლის მეურნეობის ისეთი სტახანოველები, როგორიც არიან მარია დემჩენკო და პაშა ანგელინა, ხელოვნების ისეთი ოსტატები, როგორიც არიან საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები დავით ოისტრახი და ემილ გილელსი, ბრწყინვალე მეცნიერები, უშიშარი შინსახკომელები, ნიჭიერი მწერლები, პარტიული და საბჭოთა მუშაობის გამოჩენილი ხელმძღვანელები. წითელ არმიას საბჭოთა ახალგაზრდობამ მისცა გმირული, ფოლადისებური კადრები, რომლებმაც პარტიის ხელმძღვანელობით მოსპეს იაპონელთა პოლკები, რომელნიც ცდილობდნენ შემოჭრილიყვნენ წმინდათა-წმინდა საბჭოთა მიწა-წყალზე. საბჭოთა ახალგაზრდობა, კომკავშირი, რომელიც იწრთობა მტრებისადმი ულმობელი სიძულვილის, ბოლშევიკური სიფხიზლის საფუძველზე, დაეხმარა პარტიას და შინსახკომის ორგანოებს საზიზღარ ტროცკისტ-მემარჯვენე ჯაშუშთა და დივერსანტთა კრახანის ბუდეების განადგურებაში, ხალხის მტრების განადგურებაში, რომლებიც ცდილობდნენ ახალგაზრდობის რიგებში შეპარვას.

სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში კიდევ უფრო მეტად აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას მის რევოლუციურ მუშაობაში. საბჭოთა ახალგაზრდობის დროშას წარმოადგენს ლენინ-სტალინის პარტიის დროშა. სოციალისტური სამშობლოს დაცვა მტრებისაგან — სტალინური ახალგაზრდობის საპატიო და წმინდათა-წმინდა მოვალეობაა, და ამ თავის მოვალეობას იგი ღირსეულად ასრულებს. იცავს რა ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, აღწევს რა სოციალიზმის ახალ-ახალ გამარჯვებებს, საბჭოთა ახალგაზრდობა ასრულებს თავის მოვალეობას ყველა ქვეყნის მშრომელთა წინაშე. „ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლითაც გამსჭვალულია კომკავშირის მუშაობა. ამაშია მისი ძალა. ამაშია მისი ძლიერება" (ი. სტალინი).

საბჭოთა ახალგაზრდობას ახსოვს თავისი გმირი ძმები, რომლებიც იბრძვიან ჩინეთის მინდვრებზე, უნივერსალეს მთებში, ლევანტის ფრონტებზე, ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ. საბჭოთა ახალგაზრდობა იბრძვის პირველ რიგებში მშვიდობიანობისათვის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ, ყველა ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. და კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი ახალგაზრდობა ხედავს საბჭოთა კავშირის მძლავრ მაგალითს, თავისუფლების, მშვიდობიანობის, ბედნიერი შრომისა და უდიდესი ქვეყნის ცხოვრების მაგალითს.

ფაშისტ აგრესორებს ახლა სურთ დაანთონ მსოფლიო ომის ახალი ხანძარი. მათ სურთ სისხლსა და ცეცხლში დაახრჩონ და მოსპონ მილიონობით მშრომელთა სიცოცხლე, კაცობრიობის იმედი—მისი ახალგაზრდობა. **მაგრამ 1938 წელი 1914 წელი როდია.** არსებობს ქვეყნად მოსკოვი, არსებობს ქვეყნად საბჭოთა კავშირი—მშვიდობიანობის დასაყრდენი, ყველა მშრომელთა იმედი, შუქურა, სამშობლო. არსებობს ქვეყნად კომუნისტური ინტერნაციონალი, ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ მთელი თავით გაზრდილი მსოფლიო რევოლუციური კომუნისტური მუშათა მოძრაობა. უდიდეს ძალად ხდება აგრეთვე რევოლუციური კომუნისტური და სოციალისტური ახალგაზრდობის მსოფლიო მოძრაობა მშვიდობიანობისათვის, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ. სსრ კავშირის მძლავრმა გავლენამ ხელი შეუწყო მთელ რიგ ქვეყნებში ერთიანი ანტიფაშისტური სახალხო ფრონტის შექმნას და განმტკიცებას. ესპანეთში ახალგაზრდობის გაერთიანებული სოციალისტური კავშირი, რომელშიც ნახევარ მილიონზე მეტი წევრია და რომელიც მიუძღვის ესპანეთის მილიონიან ახალგაზრდობას, აქტიურად მონაწილეობს ხალხის ბრძოლაში ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ. ღრმა იატაკქვეშეთში მაგრდება გერმანიის მშრომელი ახალგაზრდობის ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი. საფრანგეთში ახალგაზრდობის კომუნისტური და სოციალისტური კავშირები აქტიურად ეხმარებიან სახალხო ფრონტის ბრძოლას. ფართოვდება, მტკიცდება ერთიანი ანტიფაშისტური ფრონტი მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც, როგორიცაა ჩეხოსლოვაკია, ინგლისი, ამერიკა, პოლონეთი, იაპონია, იტალია. მშვიდობიანობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ფრონტი განუზომლად უფრო ძლიერია, ვიდრე მშვიდობიანობის მტრების, მშრომელი კაცობრიობის მტრების ფრონტი.

ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღე — 1938 წლის 6 სექტემბერი მთელს მსოფლიოში ჩატარდება ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ რევოლუციური მშრომელი ახალგაზრდობის ძალთა შემჭიდროვებისა და ორგანიზაციის დროშით, სახალხო ფრონტის დროშით, დიად საბჭოთა კავშირთან — მშვიდობიანობისა და ყველა ხალხთა თავისუფლების დასაყრდენთან — სოლიდარობის დროშით. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ბედნიერი ცის ქვეშ ახალგაზრდობის XXIV საერთაშორისო დღე იქნება მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაული, სტალინური ახალგაზრდობის სიხარულისა და ბედნიერი ცხოვრების დღესასწაული, ლენინისა და სტალინის დიადი იდეების ურღვევი ძალისა და ძლიერების დღესასწაული, გრანდიოზული დემონსტრაცია სოციალიზმის გამარჯვებებისა, რომლებიც მოპოვებულია სისხლით, შეუპოვარი ბრძოლითა და შრომით.

# ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

[illegible]

## ავიაციის მოქმედებანი

[illegible]

# რესპუბლიკური მთავრობის წინადადებანი ტყვეების გაცვლის ინგლისის კომისიას

[illegible]

# პლიმუტის შეხვედრა კორბენთან

[illegible] ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე პლიმუტი გუშინ შეხვდა საფრანგეთის ლონდონელ ელჩს კორბენს, რომელთანაც მან განიხილა გენერალ ფრანკოს პასუხით შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებელი საშუალებანი. როგორც [illegible] ვე ინგლისის საქმეთა პორტუგალიელ და გერმანელ რწმუნებულთ. დღეს პლიმუტს საუბარი ჰქონდა აგრეთვე ამხ. მაისკისთან.

გაზეთ „ტაიმსის" მიმომხილველის ცნობით, აქამდე არ არის მიღებული არავითარი გადაწყვეტილება.

# გერმანია-უნგრეთის მოლაპარაკების შედეგები

**ჟენევა**, 2 სექტემბერი (საკდესი). ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობით, იქ დაბრუნდნენ უნგრეთის რეგენტი (მმართველი) ხორტი, პრემიერ-მინისტრი იმრედი, საგარეო საქმეთა მინისტრი კანია და სამხედრო მინისტრი რაცი, რომელნიც ერთ კვირას იყვნენ გერმანიაში.

როგორც შვეიცარიის გაზეთების ბერლინელი და ბუდაპეშტელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, გერმანიისა და უნგრეთის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების ძირითადი თემა იყო „ჩეხოსლოვაკიის საკითხი". რომლის გადაწყვეტილებაშიაც, „ნოიე ციურხერ ცაიტუნგის" კორესპონდენტის სიტყვით, „უშუალოდ დაინტერესებულია ორივე სახელმწიფო".

ფაშისტთა გერმანელმა ლიდერებმა გამოიყენეს უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწეებზე ზემოქმედებისა და ზეგავლენის ყველა საშუალებანი, რათა ჩაებათ უნგრეთი იმ სამხედრო თავდასხმისათვის მზადებაში, რომელსაც გერმანიის ფაშიზმი ამზადებს ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ, და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დანაწილებაში, რომელიც მზადდება.

დამახასიათებელია, რომ ბუდაპეშტში უნგრეთის ხელმძღვანელთა დაბრუნებისთანავე ჩრდილო-დასავლეთ უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მახლობლად უნგრეთის ჯარის დიდი მანევრები დაიწყო.

გერმანიაში უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწეთა დარბაზობის უშუალო შედეგს წარმოადგენს უნგრეთის ფაქტიური უარი ხელშეკრულება დასდოს ჩეხოსლოვაკიასთან თავდაუსხმელობის შესახებ.

ბაზელის „ნაციონალ ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ გერმანიაში გერმანიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელობით მოლაპარაკება სწარმოებდა უნგრეთის არმიის რეორგანიზაციის ჩატარების შესახებ, აგრეთვე გერმანული იარაღით უნგრეთის მომარაგების გაძლიერების შესახებ.

„ნაციონალ ცაიტუნგი" აღნიშნავს აგრეთვე, რომ უნგრეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში გაძლიერდა რწმენა, რომ გერმანიაში უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწეთა გამგზავრების შედეგად მკვეთრად გაიზარდა უნგრეთის დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის საფრთხე.

# საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ხანკოუელ, შანხაელ და ლონდონელ კორესპონდენტთა ცნობებით)

## ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე წარმატებით წარმოებული ოპერაციების შედეგად, ჟუიჩანის რაიონში ჩინელთა ჯარმა განმანადგურებელი ლახვარი ჩასცა იაპონელებს.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში იაპონიის სარდლობამ, ჟუიჩან-მატოუჯენისა და ჟუიჩან-იანსინის საზღვრებთან ჩინელთა პოზიციებზე მთელი რიგი იერიშების მიტანის შემდეგ, დაიწყო თავისი რეზერვების თავმოყრა მორიგი იერიშისათვის. ჩინელთა ჯარი, გენერალ გუან ლინ-ჩენის მეთაურობით, მიიღო თუ არა მან მაშველი ჯარები, 31 აგვისტოს, დილით, მოულოდნელად გადავიდა კონტრშეტევაზე. ბრძოლა მთელ დღეს გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელებმა კვლავ მომწამვლელი გაზები გამოიყენეს, იაპონელთა ჯარმა, ჩინელთა მიერ რამდენიმე ბრწყინვალედ ჩატარებული ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, უკან დაიხია ჟუიჩანის მიდამოებისაკენ. უკანასკნელი ცნობებით, მოკლულ იაპონელთა შორის, პოლკოვნიკს გარდა, ათასეულებისა და ასეულების რამდენიმე მეთაურია.

იმავე დღეს ჩინელთა ჯარმა განდევნა იაპონელები მინშნისა და ლოშანის მაღლობიდან (ჟუიჩანის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ამ ოპერაციების დროს იაპონელებს 400 კაცი მოუკლეს.

აღნიშნულია ნიშანში კარგად შოხვედრება ჩინელთა არტილერიის მიერ. ორი დღის განმავლობაში, 30 და 31 აგვისტოს, მდინარე იანძიზე სერიოზულად დაზიანდა იაპონელთა 10 გემი.

იაპონელებს დიდი ზარალი მოსდით. ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში მდინარე იანძის გასწვრივ მდებარე ფრონტიდან შანხაიში დიდძალი დაჭრილი იაპონელი ჯარისკაცი ჩავიდა. გაზეთ „იბაოს" ცნობით, შანხაიში ყოველდღე ჩადის 1000-დან 3000-მდე დაჭრილი იაპონელი.

## ჩრდილო ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში მდებარე ფრონტზე იაპონელებმა ფინლინდუს აღების შემდეგ თავი მოუყარეს არტილერიას და არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ ცდილობენ გადალახონ მდინარე ხუანხე. მაგრამ მთელი მათი ცდები მარცხით მთავრდება.

ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში 31 აგვისტოს ჩინელთა ჯარმა გააფთრებული ბრძოლის შემდეგ გააძევა იაპონელები ძიუიანიდან (მდინარე ხუანხეს ჩრდილო ნაპირზე, ლოიანის ჩრდილოეთით).





ალპინიადა მწვერვალ ჯიმარაზე

სურათზე: მარცხნივ — ჯიმარას მწვერვალი, ალპინიადის მონაწილენი მწვერვალის ძირას. მარჯვნივ — მწვერვალზე ასვლის ერთერთი მომენტი.

ფოტო ოთ. ეგაძისა

# ლაშქრობა მწვერვალ ჯიმარაზე

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

კობიდან მარცხნით შევუხვიეთ და თრუსოს ხეობით მწვერვალ ჯიმარასაკენ დავიძარით. ნისლიანი და ცივი დილა იყო. ორივე მხრიდან ასვეტილი ამაყი მთები მზეს აჰფარებოდნენ და ვიწრო ხეობას სუნთქვას უკრავდნენ.

აქ იწყებოდა სრულიად-საქართველოს პირველი ალპინიადა კავკასიონის ქედის ერთერთ უძნელეს მწვერვალ ჯიმარაზე, რომელიც ერთი-სამად უფრო ძნელი მისადგომია, ვიდრე მყინვარწვერი, ვიდრე იალბუზი.

300 მეტრის სიგრძეზე ჯაჭვად გადაბმულიყვნენ ალპინიადის მონაწილენი: გამოცდილი და მრავალ მწვერვალზე ნამყოფი მთამსვლელები, თბილისელები და თელაველები, სოხუმელები, ქუთაისელები და მოხევეები. სურსათით და ალპური იარაღებით დატვირთული ოსური ურმები რიტმიული რაკუნით მიჰყვებოდნენ მათ უკან.

ორი საათის სვლის შემდეგ მთის მოვარდნილ მდინარეს მივადექით. მოხევეებმა ფონი მოსძებნეს და ნაპირს მშვიდობით გავედით. უკან დატოვებული თერგი კი ისევ გააფთრებით რბოდა, ღრიალებდა და მთანიც ბანს ეუბნებოდნენ.

თრუსოს ხეობა უკან მოვიტოვეთ და სოფელ მნას გავუპირდაპირდით. სახელდახელო ბანაკი გავშალეთ და დილას იქ დავუცადეთ.

27 აგვისტოს ზურგსაკიდი ჩანთები ავივსეთ და ვიწრო და უხერხული ბილიკებით გზას შევუდექით. ყველანი თვალმოუშორებლად გავცქეროდით ჯიმარას წვერს, რომელთან მისასვლელი გზა სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა.

საღამოს 6 საათისათვის მესამე ბანაკში ვიყავით. აქედან კარგად მოსჩანდნენ ჰკალარა მყინვარი და კოპწია მაილი.

ალპინიადის უფროსმა ალ. ჯაფარიძემ სუათის მყინვარზე შეგვყარა და მოგვმართა:

— კომკავშირის 20 წლისთავს მივუძღვნათ ალპინიადა!

— არის! გაისმა ერთსულოვანი შეძახილი, და საღამოს ბინდში მთვლემარე ზებერ მყინვარწვერსაც გამოეღვიძა და კაქლუც მაილსაც ძილი გაუფრთხა.

— საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ალპინიზმის 15 წლისთავსაც მივუძღვნათ. თანახმა ხართ?

— ჰაი ჰაი, რომ ვართ! მხარი მისცეს მოხევეებმა და სხვებმაც ტაში დაუკრეს.

28 აგვისტოს, დილით სუათისის მყინვარზე დავეშვით და თოვლის მინდვრებზე გავივაკეთ. ალაგ-ალაგ ფეერიული სილამაზის ყინულის ნაპრალები გვხვდებოდა, თითო ისეთი ზომისა, რომ კაცი თვალს ვერ ჩაუწვდენდა.

აქ კი ცალცალკე სიარული საქმეს წაახდენდა. ინსტრუქტორებმა თოკები დაშალეს და მთამსვლელები ერთმანეთს გადაებნენ. წინ ალპინიზმის ოსტატი ალ. ჯაფარიძე ჩადგა და დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით დავიწყეთ ნაპრალებს შორის მოხერხებული ბილიკის დადება.

რაც მაღლა ავდიოდით, მით უფრო ძლიერ ვგრძნობდით მადლიანი მზის სხივების სიცხოველეს. დროდადრო თოვლის თეთრ ხალიჩაზე მოკეცილი ალპინისტები სახელდახელოდ ამოჭრილი ჰებიდან ცივ წყალს ისრუტავდნენ.

დილით გამოსულებმა ღამით ძლივს მივაღწიეთ ჯიმარას ძირს. აქ, 4200 მეტრის სიმაღლეზე ფირნის ველი მოვნახეთ და თოვლზე ბანაკი გავშალეთ. კარვები დავდგით და საძილე ტომრებში შევეხვიეთ, რომ ოდნავ გავმთბარიყავით და ხვალინდელ იერიშისათვის საჭირო ღონე მოგვეკრიბნა.

მოუთმენლად ველოდით 29 აგვისტოს გათენებას. 15 წლის წინათ, ამ დღეს პირველად ავიდა ქართველი ალპინისტების ჯგუფი მყინვარწვერზე. იმ დღიდან დაიწყო საბჭოთა ალპინიზმის ისტორია.

მთამსვლელებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს მოწყობილობა — წერაყინები, წრიაპები, ფეხსაცმელები, და თოკებით გადაბმულნი ფრთხილად დაიძრნენ გოროზ ჯიმარასაკენ. სახკინმრეწვის ოპერატორი ლევან არზუმანოვი მსვლელობის გადაღებას შეუდგა. ალ. ჯაფარიძე ალპინისტებს თავში ჩაუდგა და მრავალრიცხოვანი რაზმი მწვერვალისაკენ დაიძრა.

ცოტახნის შემდეგ ყინულოვან კლდეს მივადექით. გამოცდილი ოსტატი ალ. ჯაფარიძე და უფროსი ინსტრუქტორი კ. ჯავრიშვილი მოხერხებულად სჭრიდნენ ყინულის საფეხურებს და გაბედულად მიცოცავდნენ ციცაბო სიპ კედელზე. სამი საათი დაგვჭირდა, რომ ეს მეტად საშიში ადგილი მშვიდობიანად გაგვევლო.

შემდეგ კიდევ უფრო სახიფათო ადგილს მივადექით; ჩვენს წინ 200 მეტრის სიმაღლის დაქანებული ფერდობი იდგა. ხანმოკლე შესვენების შემდეგ შევუდექით სიპი კედლის იერიშს.

უცებ მოხდა ის, რაც ყოველთვის მოსალოდნელია ალპინიზმის საქმეში: მოწინავე ჯგუფი; რომელსაც წინ ალ. ჯაფარიძე უძღოდა, დიდი სიძნელით მიიწევდა მაღლა; ამ დროს ერთ მთამსვლელს ფეხი დაუცდა, მან თან ჯაფარიძეც გადმოიყოლა. შემდეგ კი სურათმა საშინელი სახე მიიღო. ციცაბო კედელზე შემდგარი ხალხი თავს ძლივს იმაგრებდა სახელდახელოდ ამოჭრილ საფეხურებზე. ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ შეემაგრებინათ ერთიმეორე, და ერთ თოკზე გადაბმული 9 კაცი ელვის სისწრაფით დაექანა უფსკრულისაკენ.

ალპინისტები არ შედრკნენ, ისინი მოხერხებულად იცავდნენ თავს და ანელებდნენ დაცურების ძალას. გეზს იბრუნებდნენ სამშვიდობო ადგილისაკენ. მხოლოდ გამოცდილებისა და გამძლეობის მეოხებით ჯგუფი დაღუპვას გადარჩა. ცხრა კაციდან მხოლოდ ოთხმა ველარ შესძლო სიარული.

ამ შემთხვევამ როდი შეაშინა მთამსვლელები. ალპინიადის უფროსმა რაზმი ხელმეორედ დაძრა. დიდის წვალებით, მაგრამ საღამოს 6 საათისათვის ჯიმარას წვერზე მაინც ვიყავით. იქ 61 კაცის მქუხარე ვაშას დაძახილზე სტალინის ბიუსტი დავდგით და ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლ. ბერიას ალპინისტური სიმღერა ვუმღერეთ.

გვიან ღამით ბანაკში დავბრუნდით.

**ოთ. ეგაძე**

# სახელმწიფო კონსერვატორიაში

მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მიღების შესახებ შეტანილი იყო 109 განცხადება. განცხადების თითქმის ყველა შემტანი დაშვებული იქნა გამოცდებზე.

გამოცდები უკვე დამთავრდა. წელს კონსერვატორიაში მიღებულია სულ 46 კაცი, აქედან: საფორტეპიანოზე — 19 კაცი, სამეცნიერო-კომპოზიციურზე — 14, ვოკალურზე — 10 და ინსტრუმენტალურზე — 3.

# ვალერიან გუნიას დაკრძალვა

3 სექტემბერს მოხდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვალერიან გუნიას ნეშტის დაკრძალვა.

ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც განსვენებულის ცხედარი ესვენა, თავი მოიყარეს ხელოვნების, ლიტერატურისა და თეატრის მუშაკებმა, განსვენებულის უახლოესმა მეგობრებმა, ჭირისუფლებმა და თბილისის მშრომელებმა.

სრულ 5 საათსა და 30 წუთზე სამგლოვიარო პანაშვიდი შესავალი სიტყვით გახსნა დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ლ. ესაკიამ. ხელოვნებისა და თეატრის მუშაკთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა სსრკ სახალხო არტისტმა ამხ. აკ. ვასაძემ.

ვალერიან გუნიას ცხედართან საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლაში იდგნენ სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ღამბაშიძე.

6 საათზე კუბო გამოასვენეს სახალხო და დამსახურებულმა არტისტებმა: აკ. ვასაძემ, ნ. გოცირიძემ, შ. ღამბაშიძემ, ნ. გვარაძემ. მრავალრიცხოვანი პროცესია დაიძრა ვაკის სასაფლაოსაკენ. სასულე და აღმოსავლური ორკესტრები განუწყვეტლივ ასრულებენ სამგლოვიარო მარშს.

საფლავზე სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორმა ამხ. შ. ღამბაშიძემ.

სრულ 8 საათზე ცხედარი მიწას მიაბარეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა გვერდით.

# შოფერების რ. პუტნეს და კ. ტოგონიძის საჯარო გასამართლება

3 სექტემბერს თბილავტოტრანსის გარაჟის კლუბში დაიწყო შოფერების რობერტ პუტნეს და კონსტანტინე ტოგონიძის საჯარო გასამართლება.

შოფერებს ბრალდებათ ქუჩაში მოძრაობის წესების უხეში დარღვევა, რის შედეგადაც მიმდინარე წლის 15 აგვისტოს ელბაქიძის დაღმართისა და სანაპირო ქუჩის გზაჯვარედინზე მოხდა ავტომობილების ავარია. ავარიის დროს დაშავდა 18 კაცი. ავტომობილები ისე დაიმსხვრნენ, რომ ისინი საექსპლოატაციოდ აღარ გამოდგებიან.

ბრალდებულებს წაყენებული აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 58,17 „გ" მუხლი. მათ ასამართლებს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესია ამხ. ი. პაპაიანის თავმჯდომარეობით. სახალხო მსაჯულებად არიან ვ. ლაცაბიძე და ს. ჯოხაძე.

ბრალდებას იცავს სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. მ. კვერნაძე.

პროცესს დიდძალი ხალხი ესწრება.

# პარტკალენდარი

## ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

**4 სექტემბერს:**

**საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი** — შემაჯამებელი ლექცია თემაზე: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904—1907 წ. წ.). ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ვ. გ. სიფრაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**აგიტაციის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: ლენინ-სტალინის პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის მნიშვნელობა (პარტიის კანდიდატებისა და თანამგრძნობებისათვის). კონსულტანტები: ქართულ ენაზე — ამხ. ჟორჟიკაშვილი, რუსულზე — ამხ. მ. იავრიანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1509049, გაცემული ქიარომ ავეტისის-ძე ხაჩატუროვის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**ვ. ხატიაშვილი.**

# კონკურსი საუკეთესო სიმღერებზე

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა გამოაცხადა კონკურსი საკ. ალკკ XX წლისთავისადმი მიძღვნილ საუკეთესო სიმღერის ტექსტზე.

ამის გამო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ მუსიკალურ ნაწარმოებზე გამოცხადებული კონკურსის ვადა გადატანილია 13 ოქტომბრისათვის.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთ ტექსტების მიღება შეუძლიათ 13 ოქტომბრიდან კომპოზიტორთა კავშირში (მახარაძის ქ. № 8).

კონკურსის საბოლოო პირობები გამოქვეყნებული იქნება ცალკე.

# მატარებლების ახალი განრიგება

დღეიდან ამიერ-კავკასიის რკინიგზის დასავლეთ უბანზე მატარებლების მოძრაობა იწარმოებს ახალი განრიგებით.

მატარებლები **თბილისიდან ბათუმში** გავლენ: № 42—10 საათსა და 22 წუთზე, № 74—18 საათ. 30 წ. და № 44—0 საათ. 28 წუთ.

**თბილისიდან ქუთაისში** № 50—21 საათ. 57 წ.

**თბილისიდან ფოთში** № 52—20 საათ. 06 წ.

**თბილისიდან სოხუმში** № 76—16 საათ. 12 წ.

**თბილისიდან ბორჯომში** მატარებლები გავლენ—6 საათ. 26 წ.; 15 საათ. 11 წ. და 17 საათ. 07 წ.

ყველა მატარებლები დანიშნულ ადგილს მივლენ დილით.

დრო მოსკოვისაა, რომელიც თბილისის დროს ერთი საათით ჩამორჩება.


**საქფილემბის საზაფხულო თეატრი და ბაღი**
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

4, 5 და 6 სექტემბერს
ტალონები № 95, 96, 97 და 98
**საესტრადო წარმოდგენა**
მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების არტისტების შემადგენლობით
**მიროვისა და დარსკის**
ხელმძღვანელობით.
დასაწყისი სად. 9 ს. 30 წ.

**ღია ესტრადა**
4 სექტემბერს
**ხმოვანი კინო-ფილმი**
დასაწყისი საღ. 10 ს.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

**თბილისის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი**
**აცხადებს კონკურსს ტროპიკულ სნეულებათა კათედრაზე**

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 2. ცნობა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, 3. შრომების სია და შრომები, 4. რეცენზიები ამ შრომების შესახებ.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის კანცელარიაში (ლუნაჩარსკის, 12) ა. წ. 15 სექტემბრამდე.
1303 **დირექცია.**

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**
სექტემბრისათვის საბავშვო ჟურნალებზე: „პიონერსა" და „ოქტომბრელზე" ხელის მოწერის მიღების ვადა გაგრძელებულია თბილისში და პროვინციაში 8 სექტემბრამდე.
**ხელისმოწერას მიიღებენ:**
„სოიუზპეჩატი", ფოსტა, წერილდამტარებლები, ხელმოწერის შემკრებნი სკოლებში, საწარმო-დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობები ტრანსპორტზე.

**ექიმი მძინარიშვილი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ვენერიული, სიფილისი და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტე, (ელექტრონით მკურნალობა). ქალთა და ბავშვთა გონორეია.
ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე, საღ. 7—9 ს. ქალებისა და ბავშვებისა საღ. 6—7 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 20, მე-4 შესავალი, მე-2 სართული, ბინა № 38.
19045

**თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი ექიმ ნ. გ. კონტოროვიჩისა**
**გადავიდა**
ელბაქიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.) № 21. მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.
კაბინეტი მკურნალობს ძიძიბებს, ფერისმჭამელას, ჭორფლს, ტალებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეჭეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს 77431


## საქ. კოოპინკავშირში შემავალი არტელის „ინ. ნაწარმის" დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის.

| აქტივი: №№ რიგ. | მუხლების დასახელება | ჯამი | პასივი: №№ რიგ. | მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 3891—27 | 1 | ფონდები | 17274—60 |
| 2 | ნედლეული და მასალები | 7682—29 | 2 | მრეგულირებული მუხლები | 1869—61 |
| 3 | პროდუქცია და საქონელი | 24949—12 | 3 | ანგარიშსწორებანი | 33312—12 |
| 4 | მცირეფასიანი ინვენტარი | 3402—64 | 4 | დაგროვებანი | 14449—77 |
| 5 | ფულადი საშუალებანი | 3183—07 | | | |
| 6 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 20503—71 | | | |
| 7 | ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშით | 914—— | | | |
| 8 | განყენებული საშუალებანი | 2380—— | | | |
| | ბალანსი... | 66906—10 | | ბალანსი... | 66906—10 |

### დაგროვება-დანაკარგების ანგარიში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ხარჯები და ზარალი სხვადასხვა | 1369—31 | 1. | შემოსავალი რეალიზაციიდან | 11633—29 |
| | | | 2. | სხვადასხვა შემოსავალი | 4185—79 |
| | სულ... | 1369—31 | | სულ... | 15819—08 |
| 2. | დაგროვებანი | 14449—77 | | | |
| | ბალანსი... | 15819—08 | | ბალანსი... | 15819—08 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ.

არტელის თავმჯდომარე მ. მარკოზია. მთ. ბუხჰალტერი ლ. ამირანიძე. 1668

## საქ. სარეწ. საბჭოს სისტემაში შემავალი არტელ „ბაღდადის" დასკვნითი ბალანსი 1938 წ. 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

| აქტივი: №№ რიგ. | მუხლების დასახელება. | ჯამი | პასივი: №№ რიგ. | მუხლების დასახელება. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 85,9 | 1 | ფონდები | 116,9 |
| 2 | ნედლეული და მასალები | 144,4 | 2 | გრძელვადიანი კრედიტები | 190,7 |
| 3 | პროდუქცია და საქონელი | 30,0 | 3 | ანგარიშსწორებანი | 102.3 |
| 4 | ფულადი საშუალებანი | 18,5 | | | |
| 5 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 70,1 | | | |
| 6 | განყენებული საშუალებანი | 59,4 | | | |
| 7 | ს/წ. ზარალი | 1,6 | | | |
| | ბალანსი... | 409,9 | | ბალანსი... | 409,9 |

### მოგება-ზარალის ანგარიში

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ხარჯები და ზარალი სხვადასხვა | 51,4 | 1. | შემოსავალი სხვადასხვა | 49,8 |
| | | | 2. | ზარალი ს/წ. | 1,6 |
| | ბალანსი.... | 51,4 | | ბალანსი.... | 51,4 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 22/II—1938 წ.

არტელის თავმჯდომარე ქარსელაძე. მთავარი ბუხჰალტერი მახარაძე. 1651


მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61 სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კმოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—1455